F160 N4456

ფასი 50 კაპ.

წელიწადი პირველი

საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის მოამბე
ყოველდღიური გაზეთი

№ 58 შაბათი, 5 ოქტომბერი, 1918 წ. № 58

ამ ნომერში ექვსი გვერდია

მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით **10** მ., ცალკე ნომერი ყველგან **50** კაპ.

სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.

გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის **10—3** საათამდე.

(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.

კონსერვატორიის დარბაზი.

გრიბოედოვის ქუჩა.

შაბათს, 5 ოქტომბერს გაიმართება

გალაქტიონ ტაბიძის

პოეზიის საღამო.

შაბათს 5 ოქტომბერს.

ბილეთები იყიდება წ. კ. გ. ს. წიგნის მაღაზიაში. 539 5—5

მე II-ე წელ. ## ვაჟთა და ქალთა გიმნაზია მე II-ე წელ.

ნ. გ. თევზაძის

უფლებიანი, ახალი ტიპის, 8 კლასის კურსი გაივლება 4 წელიწადში.

ქსენიას ქ., № 11.

თხოვნები მიიღება ყველა კლასებში. საგნების სწავლება რუსულად. ქართველებისთვის—საქართველოს ისტორია და ლიტერატურა სავალდებულო საგნებია. მეცადინობა სადამოობით. მოწაფეები მიიღებიან განურჩევლად ეროვნებისა და ხნისა მოწმობებით შესაფერ კლასებში, ვისაც მოწმობა არ აქვს—გამოცდით. მეხუთე კლასში გამოუცდელად მიიღებიან ის პირნი, რომლებსაც გათავებული აქვთ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი ან და სხვა შესაფერი კურსის სასწავლებელი. კანცელარია გაღებულია საღამოს 4—8 ს. გიმნაზია აძლევს მოწაფეებს უფასო სახელმძღვანელოებს. ყოველდღიური მეცადინეობა დაიწყო 2 ენკენისთვიდან.

1917/18 წ.-ს გიმნაზიამ მოწაფეებს გაათავებია პირველად.

50—32 გიმნაზიის გამგე ს. ნ. შულგინი.

ყველა უმუშევრად დარჩენილ ქალებსა და კაცებს ქ. ტფილისში

უკანასკნელ თვეებში დაიხურა მთელი რიგი საწარმოო, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებისა და მრავალმა მუშამ დაჰკარგა ადგილი და სამუშაო ქირა. უმუშევართა ერთმა ნაწილმა დასტოვა ქალაქი, გავიდა რესპუბლიკის საზღვრებიდან, ან სოფელში გადასახლდა. ისინი კი, რომელნიც ტფილისში დარჩნენ, სცდილობენ იშოვონ რაიმე სამუშაო, რომ თავი ირჩინონ, მაგრამ ამას ძნელად ახერხებენ, რადგან ხშირად არ იციან, სად არის მოთხოვნილება მათ სამუშაო ძალაზე. იყო შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ დაწესებულებას სჭიროდა განსაზღვრული რიცხვი მუშებისა, მაგრამ ასეთებს ვერ პოულობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში უმუშევარნი მრავლად არიან.

შრომის სამინისტროს სურვილია შეძლებისა დაგვარად დაეხმაროს უმუშევართ, ერთი ადგილი მიუჩინოს ქალაქის ბირჟაში შრომის მოთხოვნისა და მიწოდების საქმეს და გამოიყენოს სამუშაო ძალა არსებულ პირობებში შესაძლო საზოგადო სამუშაოში. ამისათვის მან გადასწყვიტა მოახდინოს საერთო აღწერა ყველა უმუშევართა ქ. ტფილისში, რომ გამორკვეულ იქნას მდგომარეობითი რიცხვი და რიცხვი შრომის დარგის მიხედვით. მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი ამა თუ იმ დახმარების გაწევისა იმათთვის, თუ გვეცოდინება, რამდენი უმუშევარია და რამდენად მწვავეა მათი მდგომარეობა. აღწერა მოხდება ასე:

აღწერას ახდენს ქალაქის შრომის ბირჟა. ქალაქი გაყოფილია ექვს რაიონად. ქვემოდ ნაჩვენებ ადგილებში იქნებიან აღმწერლები, რომელნიც განსაკუთრებულ ფურცლებში ჩასწერენ ყველა გამოცხადებულ უმუშევრებს. ამის შემდეგ ცნობებს თავს მოუყრიან შრომის ბირჟაში.

უმუშევართა საერთო აღწერა სწარმოებს სამი დღის განმავლობაში —5, 6 და 7 ოქტომბერს დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე. ამ დღეების განმავლობაში ყველი უმუშევარი ქალი და კაცი თავის საკუთარ ინტერესისთვის უნდა ჩაეწეროს ქალაქის შემდეგ ადგილებზე:

1. ნაძალადევი.—ნაძალადევის თეატრი.
2. სახალხო უნივერსიტეტი.—მიხეილის პრ. 91.
3. ავლაბარი.—კახეთის ქ. № 1—ბინა ს. დ. პ. ორგანიზაციის მესამე კოლექტივისა.
4. წყნეთის ქ. № 9,—ვერის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბი.
5. ხარფუხი.—სოფიოს ქ. № 3, ორთაჭალის მუშათა კლუბის ბინა.
6. მაიდანი.—კუთხე ციხის გადასახვ. და ვორონც. ქუჩისა—სასტუმრო „მოსკოვსკაია“.
7. ქალაქის შრომის ბირჟა.—მადათოვის ქ. № 11, ალექს. ბაღის პირდაპირ.

უმუშევარნო იჩქარეთ ჩაეწეროთ.

შრომის სამინისტრო.

სახელმწიფო თეატრი.

ოპერის სეზონი 1918—19 წ.

ნ. დ. დუმბაძის დირექცია.

შაბათს, 5 ოქტომბრის 1918 წ.

ოპ. 3 მოქმ. „ტანჰეიზერი“ ვაგნერისა

მოქმედნი პირნი: სკვარეცკისა, შვამბერგ, ვიშემირსკისა, ოვსიანკოვისა, გედევანოვისა, ვლადინა, კანშინი, მოლჩანოვი, პოლიაევი, ნიკოლსკისა, საბინინი, კურბატოვი, ორლოვი. დირიჟორი—სტოლერმანი. დასაწყისი 8 საათზე. 6 ოქტ.—„ტოსკა“, 7 ოქტ.—„აიდა“.

840 1—1

სოფელ ფხოველში სამუშავრად საჭიროა

ერთი მზურდავი ოსტატი და სამი „კლიუჩნიკი“. მსურველმა უნდა წარმოადგინოს მოწმობა სად, ვისთან და რამდენ ხანს უმუშავნია. მისამართი: ალექსანდრეს ქუჩა № 54, ბ-ნ ნასიძეს, ნავთის მილის სამმართველოში.

832 1—1

ფინანსთა სამინისტროსთან არსებული სალიკვიდაციო განყოფილება

ამით აცხადებს, რომ კავკასიის ფრონტის დაწესებულებათა ლიკვიდაციის გათავებამდე ჟამი, სალიკვიდაციო დაწესებულებების უფროსებმა ამიერიდან აღარ უნდა აწერონ ჩეკები ბანკებიდან და ბარათები ხაზინიდან ფულის მისაღებად. ხოლო ვისაც ასეთი ბარათები და ჩეკები ხელთა აქვთ და სალიკვიდაციო განყოფილების რეგისტრაციაში არ არის შეტანილი, არ უნდა იქნეს განაღდებული, ამიტომ ზემო ნათქვამი საბუთები უნდა უკანვე დაბრუნებულ იქმნას.

განცხადება.

12 აგვისტოს 1918 წელს ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ მისცა სასოფლო სამეურნეო ამხანაგობა „ა გ რ ო ნ ო მ ა“ მოწმობა განსაკუთრებულ სარგებლობისა ათის წლის ვადით, ამხანაგობისაგან სამინისტროში წარმოდგენილ საქონლის ნიშნისა.

№ 558.

სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო ნაწილი

ამით აცხადებს, რომ ტფილისის სამხედრო პირველ სურსათის მთავარ-საწყობში 13 ოქტომბერს საჯარო ვაჭრობით გაიყიდება 2464 ფუთი ხორბლის მტვერი, 2026 ფუთი უვარგისი ლანძილის წნილი, 250 ფუთი შაქრის მტვერი, 1720 ფუთი წიწაკა, 3214 ფუთი დაფნის ფოთოლი და 1576 ფუთი ქაშაპი-თევზი (сельди), ხოლო 6 ოქტომბერს საჯარო ვაჭრობითვე გაიყიდება მეორე სასურსათო მთავარ საწყობიდან 200 ფუთი ხორბლის მტვერი. საჯარო ვაჭრობა დაიწყობა დღის 12 საათზე. დაწვრილებითი პირობების გაგება მსურველთ შეუძლიათ გაიგონ ზემოხსენებულ საწყობებში და სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო ნაწილში.

560. 3—1.

---

* *
*

1.

ისმინეთ ჩვენი მოწოდების ხმა
სამშობლო ქვეყნის მოქალაქენო:
ლატარიისკენ! ლატარიისკენ!
არვინ ჩამორჩეთ თანამოძმენო!

2.

თუ ხელოვნებას ზიარებულხართ
და თაყვანსაც სცემთ მის მფარველ
ღმერთებს,—
დაეხმარენით მის კეთილ მსახურთ,
ვინც საეროვნო საქმეს აკეთებს!

3.

ხალხო ქართველო! ერთის დღით
მაინც
თავი ანებე ნუნუას წვეთებს,
გასწი გულ-უხვად ლატარიისკენ
და მოაწერე ხელი ბილეთებს!

412 60—16

ექიმი ი. კ. აბაკელია

შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$—6 საათამდე.

პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86.

№ 719.

ოფიციალური განყოფილება

კანონი

მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტისა.

1.

შემოღებულ იქნეს 1912 წ. ივნისის 15-ის კანონი ადგილობრივ სასამართლოს გადაქმნისა შემდეგის დამატებით და ცვლილებით.

თავი I.

საზოგადო წესი.

1. (12 მუხ. მაგ.) მომრიგებელ მოსამართლეთა თანამდებობა დაწესებულ იქნეს, როგორც ქალაქებში ისე მაზრებში (ოლქში); ყოველი მაზრა (ოლქი), მასში ჩარიცხულ ქალაქებთან ერთად, შეადგენს სამომრიგებლო ოლქს.

შენიშვნა 1: საჭიროების მიხედვით შეიძლება რამდენიმე მოსაზღვრე მაზრა შეერთებულ იქნეს ერთ სამომრიგებლო ოლქად.

შენიშვნა 2: ქალ. ტფილისი შეადგენს ცალკე სამომრიგებლო ოლქს.

2. (14 მუხ. მაგ.) სამომრიგებლო ოლქი განიყოფება სამომრიგებლო უბნებად, რომელთა რიცხვი საკანონმდებლო გზით დამტკიცებულ ნუსხით განისაზღვრება.

3. (14^1 მუხ. მაგ.) სამომრიგებლო უბნის საზღვრების საბოლოოდ გავლება (შემუშავება) თვითეულ სამომრიგებლო ოლქში ეკუთვნის სათანადო მაზრის (ოლქის) საერობო კრებას, ერობის შემოღებამდე საზღვრებს აწესებს სათანადო მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა.

შენიშვნა: ქალ. ტფილისში და აგრეთვე იმ ქალაქებში, რომელთაც ნუსხით მიკუთვნებული აქვთ განსაზღვრული რიცხვი მომრიგებელ მოსამართლეებისა, სამომრიგებლო უბანთა საზღვრებს აწესებს ქალაქის საბჭო.

4. (14² მ. მაგ.) სამომრიგებლო უბანთა საზღვრების გავლების დროს უნდა დაცულ იქნეს პირობა, რომ სოფლის საზოგადოება მთლიანად ამა თუ იმ სამომრიგებლო უბანში შევიდეს.

5. (15 მუხ. მაგ.) სამომრიგებლო უბანს განაგებს უბნის მომრიგებელი მოსამართლე.

6. (16 მუხ. მაგ.) სამომრიგებლო ოლქში, გარდა უბნის მომრიგებელ მოსამართლისა, შემოღებულ იქნეს თანამდებობა საპატიო მომრიგებელ მოსამართლისა.

7. (17 მუხ. მაგ.) უმაღლეს სამომრიგებლო ინსტანციას წარმოადგენს მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა, რომელიც შესდგება თავმჯდომარისა და სამომრიგებლო ოლქის საუბნო და საპატიო მომრიგებელ მოსამართლეთაგან; მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა არსებობს ყოველ სამომრიგებლო ოლქში.

8. მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარეს სამის წლის ვადით ამოირჩევენ თავიანთ წრეში სამომრიგებლო ოლქის საუბნო და საპატიო მომრიგებელი მოსამართლენი. ყრილობის თავმჯდომარე თავისუფალია სამომრიგებლო უბნის გამგეობისაგან და, თუ რომელიმე უბანი ჰქონდა ჩაბარებული, მის ადგილას საერთო წესით უნდა არჩეულ იქნეს ახალი მოსამართლე.

თავი II.

წესი მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევნებისა და დანიშვნისა.

9. (24 მ. მაგ.) საუბნო და საპატიო მომრიგებელ მოსამართლეთ აირჩევს:

ა. ტფილისში—ქალაქის საბჭო.

ბ. დანარჩენ სამომრიგებლო ოლქებში მაზრის (ოლქის) საერობო კრება.

გ. სადაც ორი ან რამდენიმე მაზრაა შეერთებული ერთ სამომრიგებლო ოლქად, თვითეულ მაზრისათვის დაწესებულ მოსამართლეთა რაოდენობას აირჩევს საერობო კრება ამ მაზრისა.

დ. იმ ქალაქისათვის, რომელიც ცალკე ოლქს არ შეადგენს, მაგრამ კანონით დამტკიცებულ ნუსხაში მიკუთვნებული აქვს განსაზღვრული რიცხვი მომრიგებელ მოსამართლეებისა, უკანასკნელთ აირჩევს ქალაქის საბჭო.

10. ერობის შემოღებამდე მომრიგებელ მოსამართლეს დანიშნავს იუსტიციის მინისტრი; ერობის შემოღების შემდეგ ამ პირთა უფლება გაუქმებულად ჩაითვლება იმ დღიდან, როცა არჩეული მოსამართლენი თანამდებობის ასრულებას შეუდგებიან.

11. (19—20 მ. მაგ.) საუბნო და საპატიო მომრიგებელი მოსამართლე შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ორივე სქესის იმ მოქალაქეთაგან:

ა. ვისაც ოცდა ხუთი წელი აქვს შესრულებული.

ბ. ვისაც უმაღლესი ან საშუალო განათლება აქვს მიღებული. ანსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება არჩეულ იქნეს ისეთი პირი, რომელსაც აღნიშნული განათლება არ მიუღია.

გ. ვინც გარდა ქართულისა იცის ის ენა, რომელსაც სამომრიგებლო უბნის უმრავლესობა ან მნიშვნელოვანი უმცირესობა (არა ნაკლებ 20%-ის) ლაპარაკობს.

შენიშვნა: უკეთუ სამომრიგებლო უბნის უმცირესობის ენის მცოდნე კანდიდატთა საკმაო რიცხვი არ აღმოჩნდა, მომრიგებელ მოსამართლედ შეიძლება არჩეულ იქნეს ის, ვინც ამ მუხლში აღნიშნულ დანარჩენ მოთხოვნილებას სავსებით აკმაყოფილებს.

12. (21 მ. მაგ.) საუბნო და საპატიო მომრიგებელ მოსამართლედ არ შეიძლება არჩეულ იქნეს:

ა. ვინც გამოძიებასა, ან სამართალშია მიცემული, როგორც იმ დანაშაულობისათვის, რომლისათვის კანონით დადებულია უფლების აყრა ან შეზღუდვა, აგრეთვე ქურდობისა, მატყუარობისა, მევახშეობისა, მინდობილი ქონების მითვისებისა ან გაფლანგვისათვის, ნაპარავი ქონების გადამალვისა, ყიდვისა და დაგირავებისათვის, თუ იცოდა, რომ ქონება ნაპარავი იყო ან ვისგანვე მოტყუებით მიღებული, მექრთამეობისათვის და მუქარით დატყუებისათვის (вымогательство).

ბ. ვისაც ამავე დანაშაულთათვის სასამართლოსაგან სასჯელი აქვს გადაწყვეტილი.

გ. ვინც სასამართლოს გადაწყვეტილებით სამსახურიდან არის დათხოვნილი.

დ. ვინც ვერ შემძლე მოვალეთ არის გამოცხადებული.

ე. ვინც მფლანგველობისათვის მზრუნველობის (опека) ქვეშ იმყოფება.

13. (26—32 მ. მაგ.) ცალკე სია იმ პირთა, ვისაც უფლება აქვს არჩეულ იყოს მომრიგებელ მოსამართლედ, შედგენილი არ იქნება.—არჩევა შეიძლება ყოველი პირის, ვინც კანონში აღნუსხულ პირობას (მუხლი 11 და 12) აკმაყოფილებს.

14. არჩევნების განსაჩივრება შეიძლება ორი კვირის განმავლობაში არჩევნების შემდეგ. საჩივარი მაზრის საერობო კრების ან ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეს უნდა გადაეცეს რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოსათვის, ხოლო მის დაარსებამდე სასამართლო პალატისათვის წარსადგენად თავის დასკვნითურთ.

15. (73 მ. მაგ.) მომრიგებელი მოსამართლის სრულიად დათხოვნა თანამდებობისაგან თანახმად მისი თხოვნისა ან დროებით სამსახურისაგან განთავისუფლება ორ თვეზე მეტის ვადით, ექვემდებარება რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს, ხოლო მის დაარსებამდე იუსტიციის მინისტრს. სამსახურიდან განთავისუფლება ორი თვით ან ნაკლების ვადით დამოკიდებულია მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობაზე. მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარის დროებით სამსახურისაგან განთავისუფლება დამოკიდებულია იუსტიციის მინისტრზე.

16. როგორც საუბნო მომრიგებელ მოსამართლესთან, ისე მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობაზე, საქმე სწარმოებს ქართულად.

17. იმ უბანში, სადაც უმრავლესობა რესპუბლიკის მოქალაქეთა, რომელიმე არა-ქართველ ერს ეკუთვნის საქმის წარმოება, როგორც სიტყვიერი, ისე წერილობითი უნდა ხდებოდეს ქართულსა და უბნის უმრავლესობის ენაზე. ოფიციალურ ტექსტად ჩაითვლება ქართული ტექსტი.

18. იმ ოლქში, ან უბანში, სადაც არა-ქართველი ერის ნაწილი რესპუბლიკის მოქალაქეთა მნიშვნელოვან უმცირესობას (20%-ზე არა ნაკლებს) შეადგენს—ყოველ გვარი ქაღალდის შეტანა მომრიგებელ სასამართლოში და სიტყვიერი განმარტების მიცემა შეიძლება უმცირესობის ენაზე; ამავე ენაზე უფლება აქვთ განსაკუთრებული სასყიდლის გაუღებლად მიიღონ ყოველგვარი სამართლის წესით განსაზღვრული ქაღალდების პირი. თუ სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებული, ხოლო სამოქალაქო საქმეში კი ორივე მხარე მოითხოვს საქმის გარჩევას არა ქართულ ენაზე და მომრიგებელმა მოსამართლემ, ან მოსამართლეთა ყრილობამ იცის ეს ენა, საქმის სიტყვიერი წარმოება უნდა-მოხდეს ამ ენაზე.

19. პატიმრად მყოფს თხოვნები და ყოველგვარი სასამართლო ქაღალდები შეუძლიან შეიტანოს დედა ენაზე.

20. მომრიგებელ მოსამართლეს ექვემდებარება საქმენი, სამოქ. საქ. წარ. წესდ. მე 1462 მუხლში და სისხ. სამ. საქ. წარმ. წესდ. მე-1259 და 1260 მუხლებში აღნიშნული, და ამასთანავე სისხლის სამართლის ყველა საქმე სახაზინო მართველობათა წესდების დარღვევის შესახებ, იმ საქმეთა გარდა, რომელთათვისაც კანონში დადგენილი სასჯელი შეერთებულია უფლებათა შეზღუდვასთან, ან ჯარიმა აღემატება 2000 მანეთს.

II.

1. საქართველოს რესპუბლიკაში გაუქმებულია დღემდე არსებული თანამდებობა მომრიგებელ მოსამართლისა, იმის თანაშემწისა და საპატიო მოსამართლისა. ყველა ეს პირნი და აგრეთვე მათი კანცელარიის მოსამსახურენი, დაკმაყოფილებულ იქნებიან საერთო წესით უკეთუ ახალს თანამდებობაზე არ იქნენ განწესებული.

2. ზევით აღნიშნულ პირთ სამსახურიდან გადადგომა შეუძლიანთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ახალი მოსამართლენი მოვალეობის ასრულებას შეუდგებიან.

III.

1. გაუქმდეს სოფლის სასამართლოები, ხოლო მათი ქვემდებარე დაუმთავრებელი საქმეები გადაეცეს სათანადო საუბნო მომრიგებელ მოსამართლეს.

IV.

1. მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის შემოსაღებად, თანახმად ამ კანონთან დართული შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვისა, გადაიდვას სახელმწიფო ხაზინიდან იუსტიციის სამინისტროს განკარგულებაში 1.974.800 მან., ხოლო აწინდელი კრედიტი მომრიგებელ მოსამართლეთა, მათ თანაშემწეთა და კანცელარიისა დახურულ იქნეს.

V.

1. ეს კანონი ძალაში შედის მთავრობის ოფიციალურ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნების მეორე დღიდან.

1918 წ. სექტემბრის 24.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს
თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

ნუსხა

სამომრიგებლო ინსტიტუტის დაწესებულებისა.

მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობანი	ყრილობის თავმჯდომარე	უბნის მომრიგებელ მოსამართლენი	ყრილობის მდივანი	მათი თანაშემწენი	მომრიგებელ-მოსამართლის მდივნები	ყრილობის თარჯიმანნი.	მომრიგებელ-მოსამართლის თარჯიმანნი	ყრილობის ბოქაულები.	მოსამართლის ბოქაულები	საპატიო მომრიგებელ მოსამართლენი
ტფილისის გუბერნია.										
1. ქ. ტფილისის სამომრიგებლო ოლქი	1	22	1	2	22	2	22	1	22	11
2. ქ. ტფილისის მაზრის სამომრიგებლო ოლქი (ქ. ტფილისი)	1		1	1	15	1	15	1	15	
ა) ტფილისის მაზრისა		6								4
ბ) ბორჩალოს მაზრისა		6								5
გ) დუშეთის მაზრისა		3								3
3. გორის მაზრის სამომრიგებლო ოლქი. (ქ. გორი).	1	11	1	1	11	1	11	1	11	6
4. სიღნაღის მაზრის სამომრიგებლო ოლქი (ქ. სიღნაღი).	1		1	1	9	1	9	1	9	4
ა) სიღნაღის მაზრისა		6								
ბ) ზაქათალის ოლქისა		3								
5. თელავის მაზრის სამომრიგებლო ოლქი. (ქ. თელავი).	1		1	1	7	1	7	1	7	
ა) თელავის მაზრა		4								3
ბ) თიანეთის მაზრა.		3								2
ქუთაისის გუბერნია.										
1. ქუთაისის მაზრის სამომრიგებლო ოლქი (ქ. ქუთაისი).	1		1	1	16	1	16	1	16	
ა) ქუთაისისა		5								3
ბ) ქუთაისის მაზრისა		11								5
2. რაჭა-ლეჩხუმის სამომრიგებლო ოლქი (ქ. ლაილაში).	1		1	1	8	1	8	1	8	
ა) რაჭის მაზრისა		4								3
ბ) ლეჩხუმის მაზრისა და სვანეთისა		4								3
3. შორაპნის მაზრის სამომრიგებლო ოლქი	1	7	1	1	7	1	7	1	7	5
4. გურიის სამომრიგებლო ოლქი. (ქ. ოზურგეთი).	1	6	1	1	6	1	6	1	6	3
5. სამეგრელოს სამომრიგებლო ოლქი (ქ. ახალ-სენაკში).	1		1	1	12	1	12	1	12	
ა) ზუგდიდის მაზრა.		6								3
ბ) სენაკის მაზრა.		4								2
გ) ქ. ფოთი		2								1
6. სოხუმის სამომრიგებლო ოლქი (ქ. სოხუმი).	1	7	1	1	7	1	7	1	7	4
ს უ ლ	11	120	11	12	120	12	120	11	120	70

1918 წ. სექტემბრის 24.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

შტატები

მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტისა.

თანამდებობათა სახელწოდება.	რიცხვი.	თითოეულის თვეში.	თითოეულის წლიურად.	ყველას წლიურად.	ყველას 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე.
მომრიგებელ ყრილობათა თავმჯდომარე	11	750	9000	99000	33000
უბნის მომრიგებელ-მოსამართლენი ქალაქებში-ტფილისში 22, ქუთაისში 5, ფოთსა და სოხუმში ორ-ორი.	31	700	8400	260400	86800
უბნის მომრიგებელ მოსამართლენი მაზრებში და სოფლებში	89	650	7800	694200	231400
მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის მდივანი	11	500	6000	66000	22000
მათი თანაშემწენი	12	400	4800	57600	19200
თარჯიმანები	12	375	4500	54000	18000
ბოქაულები	11	500	6000	66000	22000
მომრიგებელ სასამართლოს მდივანი	120	400	4800	576000	192000
თარჯიმანები	120	325	3900	468000	156000
ბოქაულები ქალაქებში—ტფილისში 22, ქუთაისში 5, ფოთში 2 და სოხუმში 1.	30	500	6000	180000	60000
ბოქაულები დანარჩენ ადგილებში	89	450	5400	480600	160200
ჯ ა მ ი	—	—	—	3001800	1000600
ყრილობის კანცელარიისათვის ტფილისში.					
გადამწერნი	2	300	3600	10800	3600
მანქანაზე გადამწერნი	1	300	3600	3600	1200
მსახური	1	250	3000	3000	1000
გზირი	1	250	3000	3000	1000
საწერი მასალისათვის	—	—	3000	3000	1000
ქუთაისში.					
გადამწერი	2	300	3600	7200	2400
მანქანაზე გადამწერი	1	300	3600	3600	1200
გზირი	1	250	3000	3000	1000
მსახური	1	250	3000	3000	1000
საწერი მასალა	—	—	3000	3000	1000
ჯ ა მ ი	—	—	—	43200	14400

შენიშვნა: ბინა ურილობათ ეძლევათ ტფილისის სასამართლოში და ქუთაისის სამომრიგებლო შენობაში.

პროვინციის დანარჩენ ცხრა მომრიგებელ ურილობის კანცელარიისათვის.					
გადამწერი ორ-ორი თითოს	18	300	3600	64800	21600
მანქანაზე გადამწერი	9	300	3600	32400	10800
გზირი	9	250	3000	27000	9000
მსახური	9	250	3000	27000	9000
საწერი მასალისათვის თითოს	9	—	3000	27000	9000
ბინისათვის გათბობა-განათებითურთ	9	—	3000	27000	9000
ჯამი	—	—	—	205200	68400
მომრიგებელ სასამართლოს კანცელარიისათვის.					
გადამწერი ორ-ორი თითოეულს	240	300	3600	864000	288000
მანქანაზე გადამწერი	120	300	3600	432000	144000
გზირი	120	250	3000	360000	120000
მსახური	120	250	3000	360000	120000
საწერი მასალისათვის	120	—	3000	360000	120000
ბინისათვის გათბობა განათებითურთ ტფილისში.	22	—	4200	92400	30800
დანარჩენ ადგილებში	98	—	2000	196000	66000
ჯამი	—	—	—	2664400	888800
სულ მთელი ჯამი ამა წლის დამლევამდე.	—	—	—	—	1972200

1918 წ. სექტემბრის 24.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

არა ოფიციალური განყოფილება.

ტფილისი, 5 ოქტომბერი.

მართალია ჩვენი ახალგაზრდა სახელმწიფოს საქმეები სავსებით არ არის მოწესრიგებული და კიდევ ბევრი ენერგია და თავდადებული შრომაა საჭირო მისი გამაგრებისათვის, მაგრამ ორ უმთავრეს საკითხში, შეიძლება პირდაპირ ითქვას, ჩვენი რესპუბლიკა ძალიან დაწინაურდა.

ეს არის შინაური ანარქიის დაძლევა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება საერთაშორისო ურთიერთობაში.

ჩვენი პარლამენტარული მუშაობაც თანდათან ნორმალურ კალაპოტში ვარდება. დღევანდლამდე საქართველოს ეროვნულ საბჭოში არ ჰყოლიათ წარმომადგენელნი ეროვნულ უმცირესობათ.

ამიერიდან საქართველოში ყველა მოსახლე ერი იქნება წარმოდგენილი ჩვენს პარლამენტში. სომხების წარმომადგენლებს უკვე მიესალმა საქართველოს საბჭო თავის საკანონმდებლო დარბაზში.

დამოუკიდებლობის აქტის უკანასკნელი —მეშვიდე—მუხლი ამბობს, რომ დამფუძნებელ კრების მოწვევამდე, მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.

აქედან აშკარაა, რომ დამოუკიდებლობის აქტით შექმნილი და აღიარებული სახელმწიფური ორგანოები დროებითი ხასიათისაა, ან უკეთ რომ ვსთქვათ, უძღვებიან მთელ სახელმწიფოს საქმეებს მხოლოდ დამფუძნებელ კრების მოწვევამდე.

მაშასადამე საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევა ჩვენი რესპუბლიკის მთავარი მახლობელი მიზანია, რომლის განხორციელებას მთელის ძალ ღონით უნდა შევუწყოთ ხელი. ამ მხრით გაცხარებული მუშაობა უკვე სწარმოებს ჩვენს მმართველ და საპარლამენტო წრეებში. დამფუძნებელი კრების საპარლამენტო კომისიამ უკვე შეიმუშავა და გამოსცა დებულება დამფუძნებელ კრების მოწვევის წესების შესახებ. უთუოთ ახლო მომავალში ეს დებულება კომისიიდან საბჭოს პრეზიდიუმს გადაეცემა და პარლამენტის მიერ მიღებული და დადასტურებული პირდაპირ განსახორციელებლად ჩაჰბარდებათ დამფუძნებელ კრების მომწვევ ორგანოებს.

რაც მალე იქნება ეს მუშაობა დასრულებული, მით უმჯობესი იქნება ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის. რაც ადრე იქნება მოწვეული სრულიად საქართველოს დამფუძნებელი კრება, მით უფრო გამტკიცდება, გამთლიანდება სახელმწიფოებრივობის პოლიტიკური საფუძვლები.

დამფუძნებელი კრება გამოხატავს ჩვენს პოლიტიკურ ძლიერებას, მთელი საქართველოს ხალხის სვე-სრულობას და უფლება-მოსილებას, იგი შეიქმს სახელმწიფოებრივობის ძლიერ ნაკადს, რომელიც ხალხური სხეულის ყველა ძარღვებს დაივლის და სამოქმედოთ აღძრავს.

დამფუძნებელი კრება შეიმუშავებს სახელმწიფოს ძირითად კონსტიტუციას, დაასრულებს დიდს დემოკრატიულ რეფორმებს და საბოლოთ გასწმენდს და გააჯანსაღებს ჩვენს რესპუბლიკანურ წესწყობილებას.

მაგრამ რაც რნდა ძლიერი იყოს ჩვენი სურვილი დამფუძნებელი კრების ჩქარა მოწვევისა, არის პირობები, რომლის დაუძლევლად შეუძლებელია დამფუძნებელი კრების მოწვევა. ამიტომ უნდა ვეცადოთ ეს დამოუკიდებელი პირობები მალე გადავლახოთ და გზა გაუწმენდოთ ახლო მერმისში მოსაწვევ დამფუძნებელ კრებას და მის მუშაობას.

ცხადია შინაური არევ-დარევა და ანარქია ველარ შეგვიშლის ხელს, რომ დამფუძნებელი კრების საარჩევნო მოღვაწეობამ წესიერათ და დაუბრკოლებლათ იწარმოოს: წარსულის გამოცდილებით ხალხიც საკმაოდ დახელოვნებული და მომზადებულია დამფუძნებელ კრების არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად.

მაგრამ ახლა უნდა დავაჩქაროთ მუშაობა ჩვენი რესპუბლიკის საზღვრების საბოლოო გამორკვევისათვის და მოქალაქეობის დებულების სავსებით გასატარებლად ცხოვრებაში. ეს ორი დიდი საკითხია, რომლის გადაუჭრელათ დამფუძნებელი კრების მოწვევა შეფერხდება. ამიტომ მათ სათანადო გადაჭრას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

ეს საკითხები დამფუძნებელ კრების მოწვევის საკითხის გარეშეც სდგას ჩვენი ცხოვრების წინაშე და თხოულობს დამაკმაყოფილებელ პასუხსა და მოგვარებას. დამფუძნებელი კრების მოწვევა მხოლოთ აძლიერებს მათ სიმწვავეს მთელი ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისთვის.

საზღვრების საკითხს, შინაურ სახელმწიფურ მნიშვნელობას გარდა, აქვს პირდაპირ საერთაშორისო ბუნება და ხასიათი. ხოლო მოქალაქეობის საკითხი წმინდა შინაური სახელმწიფოებრივი საკითხია და მის გასაყვანათ ცხოვრებაში მიღებულია საკანონმდებლო და პრაქტიკულ-ადმინისტრატიული ზომები.

ღრმათ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი მთავრობის მეცადინეობით ორივე ეს საკითხი მალე გადაიჭრება საქართველოს რესპუბლიკის საკეთილდღეოთ და საჩქაროთ განხორციელდება ხალხის და დემოკრატიის დიდი იმედი-მოწვეულ იქნება დამფუძნებელი კრება, რომელიც დააგვირგვინებს რევოლიუციის მონაპოვართა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის და განთავისუფლების საქმეს.

საქართველო თავისუფალი სახელმწიფოა, მაგრამ იგი უკანასკნელი ომის დროს დაიჭრა. მას ჩამოსჭრეს საუკეთესო ნაწილები. დაუფლითეს ბევრგან პოლიტიკური სხეული. მას ახლაც ესევიან ყოველი მხრიდან. ვერ ეთვისებიან მის დამოუკიდებლობას. ებრძვიან მის რესპუბლიკას, ჰკორტნიან მის დემოკრატიას და თავისუფლებას.

საქართველო დაიჭრა. მაგრამ იგი მაინც გმირულად უმკლავდება მოსჟულ შავათ მღელვარე ძალებს. „არწივი ვნახე დაჭრილი,—ყვავ-ყორნებს ეომებოდა“.

სრული იმედია, რომ დამფუძნებელი კრება საქართველოს ხალხს და მის სახელოვან დემოკრატიას კიდევ უფრო გაუსალკლდევებს გმირულს, მებრძოლ სულს და რესპუბლიკანურ სახელმწიფოებრივობის გამტკიცებით ფართო გზას გაუხსნის სრული გამარჯვებისა და საბოლოო განთავისუფლებისაკენ.

ქალაქის საბჭო და განსაკუთრებული რაზმი.

რევოლიუციას ყოველ მხრივ გაფაციცებით თავს ესხმოდენ და განადგურებას უქადოდენ, რევოლიუციის მონაპოვართა პოზიციებზე სასტიკი იერიშებით მიდიოდენ—მარჯვნიდან—ყველა კონტრ-რევოლიუციონერი და მარცხნიდან—ყველა ანარქისტ-ბოლშევიკი, რომელთა ბრძოლა არსებითად იგივე—კონტრ-რევოლიუციონურია. ყოველმხრიდან წამოსული იერიშები რევოლიუციას უნდა მოეგერებინა და შესაფერი პასუხი გაეცა. კონტრ-რევოლიუციონური მოღვაწეობა მათი, მიმართული რევოლიუციონური დემოკრატიის წინაამდეგ, თავისთავად საქართველოს რესპუბლიკას უსწორებდა ანგარიშს და მის ნანგრევებზე ააფრიალებდა შავ დროშას.

კონტრ-რევოლიუცია და მისი გვერდის დამამშვენებელი—სპეკულიაცია ძირს უთხრის საქართველოს რესპუბლიკას. ამაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება. ცხადია, საქართველოს რესპუბლიკა ვერ დაუშვებდა კონტრ-რევოლიუციონერთა და სპეკულიანტთა თავისუფალ მოღვაწეობას, ეს იქნებოდა რესპუბლიკის დაღუპვა, რევოლიუციის მონაპოვართა განადგურება. ეს ცხადია. მაშასადამე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას უნდა გამოეძებნა ისეთი ზომა, რომლითაც შესაძლებელი გახდებოდა კონტ-რევოლიუციონერთა და სპეკულიანტთა წინაამდეგ ბრძოლა. კონტრ-რევოლიუცია და სპეკულიაცია—დღეს ორივე მალულათ მუშაობს, სიბნელეში აკეთებს საქმეს და პირველი, როდესაც მზათაა უკვე სააშკარაოზე გამოდის და ბრძოლას მართავს, მეორე კი გამუდმებით, შეუჩერებლივ ეწევა რესპუბლიკისათვის დამღუპველ მოქმედებას, ღრღნის მას და ბოლოს სცემს კიდეც. აქედან დასკვნა: ასეთ განსაკუთრებულ მოვლენის წინაამდეგ საჭიროა განსაკუთრებული ზომა. ასეთ განსაკუთრებულ ზომად ეროვნულმა საბჭომ აღიარა განსაკუთრებული რაზმის დაარსება. რაზმის უცილობელი მიზანია: კონტრ-რევოლიუციის,. სპეკულიაციის და მცარცველობის წინაამდეგ ბრძოლა. ვინ იქნება ისეთი დემოკრატი რევოლიუციონერი, რომელიც ამ კანონს ხელს არ მოაწერს?—არავინ. მაგრამ ამ რაზმის დაარსებამ დიდი აურზაური გამოიწვია... არა ნამდვილ დემოკრატიულ და რევოლიუციონურ წრეებში, არამედ მარჯვენა და „მარცხენა“ ბანაკში. ალაპარაკდნენ ნაციონალ-დემოკრატები და კადეტები. აკივლდნენ მემარცხენე ესერები და მათი დამქაშნი. მათი ასეთი ერთსულოვნათ გამოსვლა ამ რაზმის წინაამდეგ მეტათ ახასიათებს მათს ფიზიონომიას,

განსაკუთრებული რაზმი დაარსდა. ივლისიდან ეს რაზმი დაუდგრომლად მუშაობს. მკითხველი ახალ ამბავში ყოველ დღე წაიკითხავს ამ რაზმის მოღვაწეობის ნაყოფის შესახებ ცნობას. თავისი მოღვაწეობით რაზმმა თავზარი დასცა სპეკულიანტებსა და კონტრ-რევოლუციონერებს. რასაკვირველია, ეს არ ეპიტნავებათ ბევრს და ზოგი „რევოლუციონერი“ წითელი ფრაზებით და ზოგი აშკარად, შავათ, თავის სასტიკ უკმაყოფილებას გამოსთქვამს. ჟანდარმერია აღადგინეს—დაიკვრეს პირზე ამ ვაჟბატონებმა და ყოველ გზა-ჯვარედინზე გაიძახიან ამას. საქმე იქამდის მივიდა, რომ ტფილის ქალაქის საბჭოში ხმოსნებმა შეიტანეს შეკითხვა.

საქმე იმაშია, რომ ტფილისის მილიციის უფროსმა ბრძანება გასცა,რათა ამ განსაკუთრებულ რაზმს მილიციონერებმა დახმარება აღმოუჩინონ დახმარებას უნდა უწევდეს ამ რაზმს არა მარტო მილიცია, არამედ ყველა პატიოსანი მოქალაქე, რომელიც ფიქრობს, რომ კონტრ-რევოლუცია, სპეკულიაცია და ძარცვა-გლეჯა ჩვენი რესპუბლიკის დამღუპველია. მით უმეტეს მილიცია ვალდებულია ასე მოიქცეს. მაგრამ ასე არ ესმის თავისი მოვალეობა არც ესერებს, არც დაშნაკელებს და არც კადეტ-ნაციონალ-დემოკრატებს.

ტფილისის ქალაქის საბჭოში ცხელ-ცხელი სიტყვები წარმოსთქვეს ამ რაზმის წინაამდეგ. კადეტების ფრაქციამ წინადადება შეიტანა—პროტესტი განაცხადონ რაზმის დაარსების წინაამდეგ. ესერები აღშფოთებული გაჰკიოდნენ ამ რაზმის, ანუ მათი სიტყვით „ჟანდარმერიის“ არსებობის გამო. განსაკუთრებული რაზმის წინაამდეგ შეერთდნენ ესერები, კადეტები, დაშნაკცაკანები და ნაციონალ-დემოკრატები. მშვენიერი კომპანიაა!! ნაც.-დემ. თავი შეიკავეს, რაც ასეთ საკითხის გადაჭრის დროს იგივე შეერთებაა ესერ-კადეტ-დაშნაკელებთან. ასე, მათი შეერთებული ხმებით გადაწყდა: 1) მილიციამ არავითარი დახმარება არ აღმოუჩინოს განსაკუთრებულ რაზმს, 2) წინადადება მიეცეს ქალაქის გამგეობას უარჰყოს მილიციის უფროსის ბრძანება, რომელიც განსაკუთრებული რაზმის დახმარებას ეხება.

რას ნიშნავს ეს? განსაკუთრებული რაზმი ებრძვის კონტრ-რევოლუციას, სპეკულიაციას, ძარცვა-გლეჯას. თავის არსებობის განმავლობაში რაზმმა ეს დაამტკიცა და თავისი ბრძოლა ყველასათვის თვალსაჩინო გახდა. ტფილისის ქალაქის საბჭო დაშნაკ-ესერ-კადეტ-ნაციონალ-დემოკრატების შეერთებული ხმებით კი რაზმისთვის დახმარებას უარჰყოფს. მაშ ვის ეხმარებიან? თუ რაზმს, რომელიც კონტრ-რევოლუცია-სპეკულიაციას ებრძვის, არ ეხმარებიან, და არამც თუ არ ეხმარებიან, ხელს უშლიან კიდეც, ცხადია, ისინი თავისთავად მხარს უჭერენ კონტრ-რევოლუციასაც და სპეკულიაციასაც. ეს აშკარაა. ამიტომ ყოვლად დაუშვებლად და შეუწყნარებლად მიგვაჩნია საბჭოს ეს დადგენილება. ტფილისის ქალაქის საბჭო, დემოკრატიული დაწესებულება გვგონია და, როგორც ასეთი, იგი დემოკრატიასთან ერთად უნდა იყოს, როგორც კონტრ-რევოლუციასთან ისე სპეკულიაციასთან ბრძოლაში. ეს უდავოა, და მით უმეტეს შეუწყნარებელი და ყოვლად დასაგმობია საბჭოს ასეთი დადგენილება.

პრესის მიმოხილვა.

საერთაშორისო მდგომარეობის შეცვლამ, ცენტრალურ სახელმწიფოთაგან ბულგარეთის გამოთიშვამ და მოსალოდნელმა რადიკალურმა ცვლილებებმა ჩვენი პრესა აალაპარაკა და ამ საკითხებთან ერთად საქართველოს ბედზედაც მსჯელობენ. გაზეთი „სახალხო საქმე“ სწერს:

„ყოველ შემთხვევაში შესაძლებელია მდგომარეობის გართულება. ჩვენ ყოველთვის მზად უნდა ვიყვნეთ დამოუკიდებლობის დასაცავად. შესაძლებელია ჩვენმა ისტორიულმა მტერმა ისევ მოინდომოს საქართველოს დაპყრობა, რადგან ამიერ-კავკასიის სხვა ნაწილები ფაქტიურად მის ხელშია და ჩვენ ლა ვართ განმარტოებულნი. ამიტომ ჩვენი დღევანდელი საზრუნავი ისევ და ისევ იარაღი, ჯარის შექმნაა. ყოველი ზომა, ყოველი ძალა უნდა ვიხმაროთ ამისათვის, რადგან საბედისწერო მომენტი გვიდგება. ჩვენ ვცოცხლობთ, ჩვენ უნდა ვიცოცხლოთ—აი, ჩვენი ფიქრი. ამიტომ მთავრობამ უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს ჯარის შექმნას. ხალხი ასე თუ ისე გამოფხიზლებულია და ჯარშიაც მოდის. საჭიროა მხოლოდ მტკიცე მისი ორგანიზაცია და მოვლა. მთავრობამ უნდა იდვას ეს კისრად და შეგნებული საქართველო მას დაეხმარება“.

ჩვენ გუშინ ვწერდით:

„როგორც უნდა წავიდეს საქმე, რა მიმართულებაც უნდა მიიღოს ომმა და საერთაშორისო ვითარების ხასიათმა, ჩვენმა რესპუბლიკამ, ჩვენმა დემოკრატიამ უპირველეს ყოვლისა თავისი შინაური ფრონტი, თავის სახელმწიფოებრივი წესწყობილება და თავისუფლება უნდა ამტკიცოს და ამაგროს.

პირველ ყოვლისა აუცილებლად საჭიროა სამხედრო ძალა მალე შევქმნათ და სათანადო სიმაღლეზე ავიყვანოთ. ჩვენ ყოველ შემთხვევაში გვჭირია თავდასაცავი მოსაგერებელი ძალა. როცა ირგვლივ თითქმის ყველა იღრინება და მოსალოდნელია საყოველთაო შემოსევა, სხვა გზის გამონახვა, სხვა პასუხი ყოვლად წარმოუდგენელია.

და აი, ამიტომ ჩვენი ჯარის საკითხი ჩვენი ყოფნა-არყოფნის, ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხია. ის არის და, იმედია, ახ-

ლო მომავალში კიდევ უფრო იქნება უდიდესი გარანტია ჩვენი სახელმწიფოებრიობის და თავისუფლებისა“.

მთავრობა უკვე შეუდგა ჯარის ორგანიზაციას. მასზე დიდი ენერგია იხარჯება, ახლა საჭიროა სწორეთ შეგნებული საქართველოს დახმარება. ფართო აგიტაცია ჯარში წასვლისთვის, დეზერტირების წინააღმდეგ ბრძოლა და სხვა,—დახმარებას გაგვიწევს ჯარის შექმნაში და მაშინ იგი მტკიცე ორგანიზაციად გადაიქცევა და, ცხადია, მოსაგერებელი ძალა გამაგრდება.

⁂

როგორც ჩვენმა მკითხველმა იცის, ტფილისის ქალაქის საბჭოში ესერების, დაშნაკცაკანების და კადეტთა შეერთებული ხმით სპეკულიაციასთან და კონტ-რევოლიუციასთან მებრძოლ განსაკუთრებულ რაზმს ქალაქის მილიციის მიერ დახმარება მოუსპეს. ასეთი გადაწყვეტილება, ვისაც გაეგება რამე, უკმაყოფილებას გამოიწვევდა. ჩვენ გუშინწინ გაკვრით შევეხეთ მას და დავგმეთ საბჭოს ასეთი ნაბიჯი. გაზეთი „ერთობა“ ეხება ამ მოვლენას და სათაურით „სპეკულიანტები ქალაქის საბჭოში“ სწერს:

„ეროვნულმა საბჭომ დაარსა საგანგებო რაზმი სპეკულიანტებთან და კონტრ-რევოლუციონერებთან საბრძოლველად. ამას ყოველი რევოლიუციონერი უნდა სიამოვნებით შეგებებოდა. აქ რაზმმა თავის მოქმედების მცირე ხნის განმავლობაში არა ერთი და ორი სპეკულიანტი დაატუსაღა, მრავალ მილიონის გადამალული საქონელი აღმოაჩინა, არ დაუტოვებია თავის მხედველობის გარეშე არც ისეთი პირის მოქმედებაც, რომელიც დაშნაკცაკანთა „საუკეთესო პირის“ სახელს ატარებს და უცხო სახელმწიფოს წარმომადგენელადაც კი გამოდის. მდიდრები და მილიონერები არ გადარჩებიან მის ზედამხედველობას. ეს მისი ღირსებაა.

ყველანი შეიძლება არ იდგნენ საჭირო სიმაღლეზე, მაგრამ ასეთებს კანონი სდევნის და მთავრობა ხელს არ დააფარებს. საჭიროა მხოლოდ შემკითხველება, ან მოქალაქემ, მათი ბოროტმოქმედება ამხილონ. მაგრამ ეს კი არ უნდა მემარჯვენე ფრთას ჩვენი ქალაქის საბჭოსას, მას უნდა თვით რაზმის გაუქმება. და თუ ამას ვერ მიაღწევს, მას უნდა ყოველ შემთხვევაში მოაკლოს ის დახმარება, რომელსაც კანონი და მდგომარეობა ავალებს მათდამი ადმინისტრაციის მოხელეთ.

რუს ჩინოვნიკთა ესერები თვით უფრთხიან ამ რაზმს, რადგან ვერ არიან პირწმინდათ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის წინაშე. და ამის გამო მზად არიან, თუნდა ხანდამოვებს, თუნდა ქუჩის სპეკულიანტებს, თუნდ შეთქმულ კონტრ-რევოლიუციონერ თავადებს და აფიცრებს შეუერთდნენ, ოღონდ კი დემოკრატია, რომელსაც სოციალისტური მთავრობა ხელმძღვანელობს, როგორმე დაამხონ“.

სრული ჭეშმარიტებაა! და ამას სერიოზული ანგარიში უნდა გაუწიოს დემოკრატიამ.

⁂

სასურსათო საკითხის გარშემო დიდი აურზაურია ატეხილი. გაზ. „საქართველო“ და „კლდე“ სასურსათო კრიზისს მთავრობის პრესტიჟის დასაცემად ხმარობს და იაფი დემაგოგიით გამოდის. „საქართველოს“-ში ბ. იასონ ლორთქიფანიძე მთავრობას ბრალსა სდებს და დაასკვნის:

„ყოველ საქმეში საჭირო ხალხის და სპეციალისტების მონახვა მთავრობის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს. სანამ იგი მთავრობობს, მას ნება არა აქვს სთქვას, ამგვარ კაცებს ვერ ვიშოვით, და, თუ ვერ ნახა, ეს იმის მომასწავებელი კი არაა, რომ ამგვარი პირნი არ მოიპოვებიან, არამედ იმისი, რომ მთავრობის წარმომადგენლებს არა აქვთ უნარი არც საქმის წარმოების და არც საჭირო პირების შოვნისა“.

იქნებ ახსოვს ბ. იასონ ლორთქიფანიძეს, თუ მთავრობამ რამდენჯერ მიმართა მათ, წრეში მობანაკებულ კომერსანტებს და მათს, დახმარების მაგივრად, გაჭირების ჟამს საქართველოს რესპუბლიკას სარმა გამოსდეს. იქნებ ახსოვს? იმედია გაიხსენებს და ამ უსაფუძვლო ბრალდებას უკანვე წაიღებს.

⁂

კადეტების გაზეთი „რეჩი“ ნიანგის ცრემლებსა ჰღვრის და მოსთქვამს, ძალა-უფლება გაირყვნა და ადმინისტრატიულმა ზომებმა დაიკავა გაბატონებული ადგილიო. გაზეთი საკითხსა სვამს: თუ მთავრობას არ შეუძლიან ებრძოლოს საერთო არევ-დარევას, მაშინ სად მიდის მთავრობის ენერგიაო. სადაა აღთქმული მკაცრი ბრძოლა ანარქიის, სპეკულიაციის და სხ. წინააღმდეგ? ამის შედეგებს ჩვენ ვერ ვხედავთო. შეიძლება „რეჩი“ ისე დაბრმავებული იყოს, რომ მართლაც ვერ ხედავდეს, მაგრამ ერთი გვიბრძანონ, განა თვით ისინი არ უწყობენ ხელს კონტრ-რევოლიუციასაც, სპეკულიაციასაც, ძარცვა-გლეჯასაც, როდესაც მათი ფრაქცია ქალაქის საბჭოში კონტრ-რევოლიუციასთან და სპეკულიაციასთან მებრძოლ განსაკუთრებულ რაზმის წინააღმდეგ ილაშქრებს?

⁂

გაზ. „ზნამია ნაროდა“ გაგვირისხდა და უმართებულო კილოთი მოგვმართა. რაშია საქმე? რა დავაშავეთ? მას მოჰყავს ჩვენი შენიშვნა იმ წერილის შესახებ, რომელშიაც „სურვილს“ გამოსთქვამდნენ, რომ ჩვენს პარლამენტში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს რუსულ ენაზე ელაპარაკნათ. იგი სხვათა შორის სწერდა:

„სხვა თვალსაზრისი იმდენად უაზროა, რომ შეუძლებელია მას იზიარებდეს საქართველოს ეროვნულ საბჭოს უმრავლესობა“.

ჩვენ ამის შესახებ უპასუხებდით:

„ჩვენ ვიცით, რომ „ტრუდოვოე ზნამია“ ვერ ურიგდებოდა თვით ისეთ კანონებს, ისეთს დადგენილებას ეროვნულ საბჭოსას, რაც ყველა პატიოსან მოქალაქეთათვის მისაღები იყო, და რაც საბჭოს მიერ ერთხმად სწყდებოდა, მაგრამ თუ „ზნამია ნაროდა“-ს სულის ჩამდგმელები იმდენად შეიცვალნენ, რომ ეროვნულ საბჭოს უმრავლესობის აზრს ერწმუნებიან—მოვახსენებთ, რომ ეროვნულმა საბჭომ აღიარა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელების დედაენაზე ლაპარაკის უფლება“.

ამ ჩვენ სამართლიან შენიშვნის შესახებ „დამოუკიდებული“ გაზეთი ილანძღება და ითათხება. სპეკულიანტების დამცველ ფრაქციის გაზეთს, ვითომდა „დამოუკიდებელ“-ს, ლანძღვა-გინება საბუთი ჰგონია! ჩვენ გაზეთის ფურცლებს არ გავაჭუჭყიანებთ და არ მოვიყვანთ იმ ადგილს, რომელითაც რუს ჩინოვნიკური იდეით გაჟღენთილი გაზეთი, ჩვენ „მარგალიტებით“ გვიმასპინძლდება, როდესაც ჩვენი ბუტერბროდობის შესახებ სწერდნენ, ალბად, მათ მაგივრათ რედაქციის კედლები გაწითლდა!

ეროვნული საბჭო

მე-35 სხდომა

სამშაბათი, 3 ენკენისთვე 1918 წ. ტფილისი, სასახლე.

ნოე ცინცაძე. (კითხულობს) წესი განათლების სამინისტროს მოხელეთა გამწესებისა და დათხოვნისა.

მუხლი 1. განყოფილებათა მთავარ-გამგეებს და კანცელარიის დირექტორს და მინისტრის მდივანს ნიშნავს და ითხოვს სამსახურიდან განათლების მინისტრი.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია. შემდეგ.

ნოე ცინცაძე. (კითხულობს) მუხლი 2. კანცელარიის დანარჩენ მოხელეთა დანიშვნის და დათხოვნის, აგრეთვე საერთო საქმის წარმოების წესი განსაზღვრული იქნება ინსტრუქციით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

ნ. ცინცაძე. მამასადამე ეს იყო დებულება განათლების სამინისტროს ორგანიზაციისა. ახლა შტატები განათლების სამინისტროსი. განათლების სამინისტროს შეადგენენ: მინისტრი, მინისტრის ამხანაგი, 3 განყოფილების მთავარი გამგე, კანცელარიის დირექტორი, დირექტორის თანაშემწე. მინისტრის მდივანი, 3 საქმის მწარმოებელი ბუხჰალტერი. 3 საქმის მწარმოებლის თანაშემწე, ბუჰალტერის თანაშემწე, რეგისტრატორი. ხუროთმოძღვარი, 10 მანქანით გადამწერი, ეგზეკუტორი და 10 უმცროსი მოსამსახურე.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ქიაბრიშვილს.

ან. ქიაბრიშვილი. (ს. დ.) სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას ამ უკანასკნელ შტატების მუხლში ორი შესწორება შემოაქვს. ერთი რომ 10 გადამწერი შეიცვალოს 6-თ რადგანაც მთელ შტატებს შეადგენს 15 კაცი და მეორე, 300 მანეთის მაგივრად დაუნიშნოთ თითოს თვიურად 400 მანეთი.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის განათლების მინისტრს.

განათლების მინისტრი გ. ლასხიშვილი. წარსულ კრებაზე მოგახსენეთ, რომ ეს ჩვენი შტატები შემცირებულია და არა მომატებული. იმ კრების გათავების შემდეგ, სხვათა შორის მოვითხოვე ცნობები, მომაწოდეს, რომ ამ ორი თვის განმავლობაში ჩვენ გადამწერლებს სამინისტროში 300 ქაღალდზე მეტი გასვლიათ. საქმე, ბატონებო, აუარებელია. ჩვენ როცა დავადგინეთ, ეს შტატები არ გვქონდა სახეში მიღებული თურა მოგველოდა ოლქის გაუქმების შემდეგ. ჩვენ წესიერი ლიკვიდაცია მოვახდინეთ, როცა ოთხ ნაწილად გავყავით საერთო საქმეები. ადერბეიჯანის, სომხეთის, ჩრდილოეთ-კავკასიის და საქართველოსი,—აღმოჩნდა რომ ჩრდილოეთ-კავკასიას ერთი მესამედი ეკუთვნის, სომხეთს და ადერბეიჯანს ორი მესამედი; შემიძლიან თამამად ვსთქვა, რომ ყველაზე მეტი საერთო საქმეები ჩვენს ტერიტორიაზე ეკუთვნის მარტო საქართველოს. ისე რომ სამწუხაროდ უნდა მოგახსენოთ, რომ მოკლე მომავალში სამინისტროში ვინც იქნება მინისტრი, სულ ერთია, ეს გამოირკვევა. და უნდა შემოიტანოს დამატებითი შტატები, იმიტომ, რომ ვერ გაუძლევება ამ საქმეებს 22 კაცი. და ამიტომ მე ვთხოულობ, რომ ამ გადამწერლების რიცხვი მოკლებული არ იქნეს, ჯერ არ გვყოფნის, მომავალში კი შეიძლება დადგეს ეს საკითხი, როცა თვითმართველობას გადავცემთ სკოლას. ეხლა კი შემცირება კი არა, მომატებაც იქნება საჭირო.

თავმჯდომარე. მომხსენებელი ნ. ცინცაძე.

საქმე ის არის ბატონებო, რომ დღეს მართლაც განათლების სამინისტრო განსაკუთრებულ პირობებში არის, როგორც მოგახსენათ ბატონმა განათლების მინისტრმა. სამინისტროს იმდენი სამუშაო აწევს თავზე, რომ, როგორც პრაქტიკამ დაანახვა მათ, აუცილებლად საჭიროა მათთვის 10 გადამწარი.

(ალ. ლომთათიძე. შეიძლება დროებით არის საჭირო, მაშინ?).

როგორც გამოაცხადა განათლების მინისტრმა უნდა ვიგულისხმოთ, რომ თვით ეს შტატები დროებითია, და მე ვფიქრობ, რომ თვით განათლების მინისტრი ამ აზრისაა.

მან საფინანსო კომისიაში გამოაცხადა, რომ ეხლა ასეთ პირობებში სამუშაო ბევრია ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ,—ეს გადამწერლები უმეტეს ნაწილად უბრალო გადამწერლები არიან, არა რემინგტონზე გადამწერლები, არამედ ხელით გადამწერლები. მანქანებზე გადამწერლები არა ჰყავთ. ტეხნიკური პირობები ასეთია, რომ შეუძლებელია საბჭომ არ დასტოვოს 10 გადამწერი, რადგანაც დღეს განსაკუთრებული პირობებია. მომავალ წლამდის ეს პირობები არ შეიცვლება. ეხლა ისეთი მდგომარეობაა, რომ შეუძლებელია შტატებში იყოს შეტანილი რაიმე დიდი ცვლილება, ან შესწორება. რაც შეეხება ჯამაგირებს, ამას მერმე მოგახსენებთ, როცა ჯამაგირებზე იქნება ლაპარაკი.

თავმჯდომარე. უპირველესად ყოვლისა ამას უყრი მე კენჭს. ვის სურს, რომ დარჩეს რიცხვი 10? ვინ არის წინააღმდეგი? (კენჭის ყრა) მომხრეა 27, წინააღმდეგი 22, მაშასადამე რიცხვი 10 დარჩენილია. საერთოდ ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია. ეხლა ჯამაგირების შესახებ.

ნ. ცინცაძე. ეხლა ჯამაგირების შესახებ. მინისტრს—1500 მანეთი, მის ამხანაგს 1350 მ., 3 განყოფილების მთავარი გამგე—თითოს 1000 მ., კანცელარიის დირექტორს 1000 მ., დირექტორის თანაშემწეს—750 მ. მინისტრის მდივანი 600 მ., 3 საქმის მწარმოებელი 600 მ., ბუხჰალტერი 600 მ., 3 საქმის მწარმოებელის თანაშემწეს თითოს 500 მ., რეგისტრატორი 400 მ., ხუროთმოძღვარი 800 მ.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე მიღებულია.

ნ. ცინცაძე. 10 გადამწერი, თვითეულს თვეში—300 მანეთი. აქ შემოიტანა შესწორება ბ. ქიაბრიშვილმა, რომ თვითეულს დაენიშნოს 400 მანეთი. საქმე იმაშია, რომ ჩვენ უკვე გვაქვს შტატები მიღებული. მაგალითად მთავრობის კანცელარიაში. აი აქ სწორედ მიღებული იყო ნორმა 300 მანეთი, და ეხლა არ ვიცი. პირადად მე ვფიქრობ, რომ ეს ჯამაგირი მცირეა. მაგრამ მეორეს მხრით არის ისეთი საერთო პირობები, ნორმა მიღებული სხვა კანცელარიებში, და ეხლა არ ვიცი, როდის უნდა გადავწყვიტოთ ეს საკითხი. ერთის მხრით არის ისეთი უხერხულობა, რადგანაც სხვა და სხვა სამინისტრო უწყებებში იქმნება სხვა და სხვა ნორმა. მეორეს მხრივ თავის თავად ცხადია, რომ ეს ჯამაგირი მცირეა დღევანდელ პირობებში.

თავმჯდომარე. კენჭს უყრი ამ შენიშვნას. ვინ არის მომხრე, რომ 400 მანეთი დაუნიშნოს თვითეულ გადამწერს? არავინ. მაშასადამე მიღებულია.

ნ. ცინცაძე. ეგზეკუტორს 400 მ., 10 უმცროსი მოსამსახურე. თვითეულს 250 მანეთი.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ქიაბრიშვილს.

ანდ. ქიაბრიშვილი. (ს.-დ.) 250 მანეთი ისეთი პატარა ჯამაგირია, რომ ყოვლად შეუძლებელია ამითი ცხოვრება. ამიტომ ჩვენს ფრაქციას წინადადება შემომაქვს, რომ მათ გაუდიდოს ჯამაგირი 300 მანეთამდე.

ნ. ცინცაძე. ერთი პრეცედენტი ამ შემთხვევაში უკვე გვაქვს, რადგან, როცა განვიხილეთ ხარჯთაღრიცხვა უნივერსიტეტისა, მაშინ მივიღეთ სწორედ ასეთი შესწორება. მე მგონია ამისდა მიხედვით ეს შენიშვნა მისაღებია.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე მიღებულია.

ნ. ცინცაძე. ამითი დასრულდა. საერთო ჯამი ამ შენიშვნის მიხედვით ცოტა შეიცვლება. ახლა, ბატონებო, კანონ-პროექტი. როგორც მოგახსენეთ, პირველი საშუალო ინსტანცია აქ გაუქმებულია. ერთი კანონ-პროექტი შეეხება ამ გაუქმებას და მეორე კანონ-პროექტი სამინისტროს ორგანიზაციას.

მუხლი პირველი (კითხულობს).

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მიღებულია.

ნ. ცინცაძე. მუხლი მეორე (კითხულობს).

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მიღებულია. საერთოდ კანონ-პროექტს უყრი კენჭს. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე ეს კანონ-პროექტი შესწორებებით მიღებულია. დარჩა შეკითხვა ა. ახმეტელის, მაგრამ გზათა მინისტრისაგან მივიღეთ შემდეგი წერილი (თავმჯდომარე კითხულობს გზათა მინისტრის შემდეგ შინარსის ტელეფონოგრამას) „რადგანაც ეხლა ჩემის თავმჯდომარეობით ხდება თათბირი გერმანიის, ავსტრიის, ოსმალეთის, ადერბეიჯანის და სომხეთის დელეგაციების წარმომადგენლებისა რკინის გზათა საკითხების გამო, საბჭოს სხდომაზე ვერ ვესწრები და ამიტომ შეკითხვებს პასუხს ვერ გავცემ“.

(რ. გაბაშვილი. სტენოგრაფიას წაიკითხავს).

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ალექსანდრე ახმეტელს.

ა. ახმეტელი. ბატონებო, მე გადადების წინააღმდეგ არაფერი მაქვს, მაგრამ საკითხი იმდენად რთულია, ჩემის აზრით, ამავე დროს ამ ბოლო დროს ისეთი მწვავე ხასიათი მიიღო, ამასთან სწორედ ამ სამინისტროში, რომელსაც საკითხი ეხება ასეთი ცვლილება მოხდა, რომ საზოგადოება მეტად დაინტერესებულია რა ხდება, ან და რა მოელის საზოგადოდ ამ სამინისტროს. ამიტომ მე მოვითხოვდი, რომ საბჭომ ამ შეკითხვისთვის განსაკუთრებული სხდომა დანიშნოს. რადგანაც სამინისტროს წარმომადგენელი აქ არ არის, ჩემის აზრით უხერხულია, რომ დღეს ეს საკითხი განიხილოს. მე ვთხოულობ, რომ განსაკუთრებული დღე დაინიშნოს.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ალექსანდრე ლომთათიძეს.

ალ. ლომთათიძე. (ს. დ.) მე უნდა მოგახსენოთ, რომ წინააღმდეგი ვარ ასეთ წინადადებისა. აი რათა. მე მესმის, რომ როცა ასეთი შეკითხვა მოხსენებული არის და საბჭომ უკვე დაადგინა, რომ განსაკუთრებული დღე უნდა დაინიშნოს, მაგრამ დღეს ჯერ შეკითხვის სათაური ვიცით მარტო. იმ შეკითხვის შინაარსი სრულებით არ ვიცით. მარტო იმის თქმით, რომ ამ დაწესებულებაში ხდება რაიმე ცვლილება, მარტო რომ ეს დაუდოთ საფუძვლათ და ვსთქვათ, რომ განსაკუთრებული კრება დავნიშნოთ და ამისთვის საბუთი არავითარი არ გვაქვს. წინააღმდეგი ვარ, რომ განსაკუთრებული სხდომა დაინიშნოს. რაც შეეხება გადადებას, უნდა მოგახსენოთ, რომ ძალიან სასურველია და აუცილებელია, რომ იყოს სამინისტროს მეთაური, უწყების წარმომადგენელი. იმ დროს, როცა იქნება განხილვა. ის მოტივიზაცია, რომელიც გააკეთა გზათა მინისტრმა ჩვენთვის სრულიად საკმარისია, რომ შეკითხვა გადიდოს მეორე კრებისათვის.

თავმჯდომარე. ორივე კითხვას უყრი კენჭს. პირველი გადადება, მეორე განსაკუთრებული კრების დანიშვნა. უყრი კენჭს პირველ წინადადებას. ვინ არის მომხრე გადადების? მიღებულია. ეხლა ვინ არის მომხრე, რომ საგანგებო სხდომა დაინიშნოს? მაშასადამე ეს შეკითხვა გადაიდება მეორე კრებისათვის. ეხლა კრებას ვხურავ. (თავმჯდომარე კრებას 3 საათსა და 10 წუთზე ჰხურავს).

ომი და ზავი.

თავბრუ დამხვევი მდგომარეობა შეიქნა ომისა და ზავის გარშემო.

როგორც მეომარი, ისე ნეიტრალური სახელმწიფოების მთავრობანი და პრესა ათას ნაირ სხვა და სხვა ხასიათის მოლაპარაკებებს აწარმოებენ. სხვა და სხვა საზავო პირობებსა სთხზავენ და ერთი მეორეს უზიარებენ.

ყოველივე ახალი საზავო პირობებისა და მოლაპარაკების გარშემო ახალ-ახალი მიდრეკილებანი ჰყოფენ თავს.

რომელიმე სახელმწიფოში ომის გარშემო მომხდარ უმნიშვნელო მდგომარეობასაც კი

დიდის ყურადღებით ეპყრობიან და ატაცებული და გაცხარებული გონებით ბჭობენ.

უკანასკნელად მომხდარმა ამბებმა ხომ სულ ძირიანად შეარყია, თუ კი რაიმე „სიმშვიდელი“ სუფევდა ქვეყნად.

ავსტრო-უნგრეთის საზავო ნოტას სულ სხვა და სხვა ნაირად გამოეხმაურენ მრავალი სახელმწიფონი.

მაგალითად ინგლისის მთავრობა და პრესა საერთოდ გამოსთქვამს იმ აზრს, რომ ამ საზავო წინადადებას წინდაწინვე მოსაზრებული უარით არ უნდა მოვეპყრათ და გულდასმით ავწონ-დავწონოთო.

საფრანგეთის მთავრობა, პრესასთან ერთად ამ წინადადებისადმი უარყოფითი შეხვედრას აპირობს.

ბურბონის სასახლეში, მაგალითად, ყველა იმ აზრისა არის, რომ საფრანგეთის ომის მიზნები ყველასათვის ცხადია, რაიც იმაში გამოიხატება, რომ ზავზე ლაპარაკი ნაადრევია, სანამ საერთაშორისო სწორწონაობა არ განმტკიცდებაო.

საერთოდ საფრანგეთში ისეთი შთაბეჭდილებაა ავსტრო-უნგრეთის მიერ შეთავაზებულ ზავის გამო, რომ ახლანდელ მდგომარეობაში ეს წინადადება არავითარ სასურველ შედეგებს არ მოიტანსო.

ამერიკა სრულის კატეგორიული უარყოფით შეხვდა ამ ახალ საზავო წინადადებას და როგორც მთავრობა, ისე პრესა ამბობს, რომ ავსტრო-უნგრეთს ურჩევნია ტყუილად დროს ნუ ჰკარგავს ამ მოლაპარაკებითაო.

ამერიკელთა აზრით, ამ წინადადებაზე შეიძლება მხოლოდ პასუხის გაცემა, ბალტიმორაში ვილსონის მიერ წარმოთქმულ სიტყვის უკანასკნელი წინადადებით, რომელიც ასე თავდება: „ჩვენთვის შესაძლებელია მხოლოდ ერთი პასუხი—დასახულ მიზნის მიხწევამდე საომარი ძალით მოქმედება, მოქმედება ფართო და შეუზღუდველი“-ო.

ასეთივე აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ბულგარეთის საზავო გამოსვლამ.

შვეიცარიის პრესა ამის გამო ამბობს, რომ ბულგარეთი სრულიად დამარცხებულია, აღარავითარი თავდაცვა აღარ შეუძლიან და ვერც გერმანია გამოასწორებს ბულგარეთში შექმნილ მდგომარეობას, რაგინდ ჯარი და ზარბაზნები არ მიაშველოს თავისვე ზურგის გასამაგრებლათო.

რუსეთის საბჭოთა მთავრობის აზრით, ბულგარეთში მომხდარი ამბები იმის მომასწავებელია, რომ ომის უკანასკნელი ხანა დადგა და ძალიან მალე მოხდება საერთაშორისო საზავო კონფერენცია, რადგან მთელი ქვეყნის დემოკრატია გრძნობს, რომ აღარ შეიძლება ამ ჯოჯოხეთური მდგომარეობის ატანა, რამაც გაავველურა და გამოფიტა მთელი კაცობრიობა.

ერთი სიტყვით, დიდი ტეხილი მოხდა მთელი კაცობრიობის აზროვნებაში. ველარ გარკვეულან საიდგანლა შეიძლება საშველი გზის გამონახვა და მილიტარისტული, კონსტიტუციონური, თუ დემოკრატიული სახელმწიფოები ერთი მეორის საწინააღმდეგო აზრებსა და გეგმებს ელვის სისწრაფით სთხზავენ და ისეთივე ელვის სისწრაფით უარსა ჰყოფენ, რომ ხელ-ახლა მოისაზრონ რაიმე.

ბ.

კავკასიის ტეხნიკურ-ამშენებლობითი საქმე.

წისქვილებისა და ბეღლების მოწყობა-აშენება.

(ა. კუჩინსკის პროექტიდან).

საქართველოს სამხედრო გზაზე საუღელტეხილო ელექტრონის რკინის გზის გაყვანის ერთ თვალსაჩინო მიზანთაგანი არის წისქვილებისა და ბეღლების მოწყობა-აშენებაც. ჯერ კიდევ 1907 წელს, როცა ამ პროექტზე ლაპარაკდნენ, ეს აზრი ჩვენ მიერ გაზიარებული ჰქონდა მთავრობას და წისქვილის აგების საკითხი რკინის გზის გაყვანის საქმესთან იყო შეკავშირებული. მართლაც ამის შესახებ თათბირი ჰქონდა ყველა უწყების წარმომადგენელთა კომისიას, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ახალ რკინის გზათა გაყვანის საქმე. ამის შემდეგ მოხდარმა მრავალმა ეკონომიურმა გამოკვლევამ, უფრო დაადასტურა აუცილებელი საჭიროება, რომ წისქვილები და ბეღლები (ელევატორები) აშენდეს. ეხლანდელი უპურობის გამო გაჭირვებული მდგომარეობა, რომელსაც განიცდის არა მარტო ამიერ-კავკასია, არამედ ყველა სხვა მხარეც, დიდი დამარწმუნებელი საბუთია სათადარიგო ბეღლების მნიშვნელობის დასაფასებლად, რადგან ეს ბეღლები ხალხს დიდ დახმარებას გაუწევს პურის მომარაგებისა და მისი ფასის განმტკიცების საქმეში.

ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხის გადაწყვეტას მეტად ააღვილებს ელექტრონის რკინის გზის გაყვანის პროექტი. ამიტომ ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ საუღელტეხილო რკინის გზის გაყვანის შესახებ ეკონომიური გამოკვლევების მთავარ დებულებებს განვიხილავთ და შესაფერ დასკვნას გამოვიტანთ.

საუღელტეხილო ელექტრონის რკინის გზას, სულ ერთია რა მიზანი და მნიშვნელობაც უნდა მიაწერონ, ცხადია ერთი, რომ უპირველესი მისი მნიშვნელობა და დედააზრი არის თითქმის განსაკუთრებით წმინდა ეკონომიური.

ამ გზის გაყვანა და მისი არსებობა მხოლოდ და მხოლოდ დამოკიდებულია სასურველ ეკონომიურ პირობათა შექმნაზე, ამიტომ პროექტის ფუძეში ჩართულია აზრი კომერციულ სარგებლობის აუცილებლობისა; საუღელტეხილო რკინის გზის გაყვანის „აუცილებლობა“ კი გამომდინარეობს გზის გაყვანის „შესაძლებლობიდან“, რაიც უაღრესად დამტკიცებულია კომერციული გამოკვლევით. კომერციულ გამოკვლევის დიდი მნიშვნელობით მიუხედავად გზათა სამინისტრომ მხოლოდ 1909 წელს მოახდინა საუღელტეხილო გზის გაშინჯვა, და თუმცა სამინისტრო არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა თავის გამოკვლევას, რაც სჩანს იქიდან რომ კომერციულმა გამოკვლევამ სამწუხარო შედეგები გამოილო და ამ გზის ზარალი სახაზინო პროექტით 15 მილიონით აღირიცხებოდა, მაინც ეს პროექტი სახელმწიფო სათათბიროში დასამტკიცებლად წარადგინა.

საუღელტეხილო ელექტრონის რკინის გზის პროექტი დამყარებულია განსაკუთრებით კომერციულ გამოკვლევაზე და ამიტომ ამ შენიშვნის მიზანია გააცნოს საზოგადოება, საუღელტეხილო გზის პროექტი ეკონომიურის მხრივ.

საუღელტეხილო გზა, რომელიც ქვენა-მთის გეზით არის ამორჩეული, ყველაზე უფრო მოკლე გზაა აუარებელ საქონლისათვის, რომელიც ნაწილდება ამიერ-კავკასიის სხვა და სხვა ადგილში, ან და იგზავნება უკანვე ჩრდილოეთის გზებისაკენ. მხოლოდ ბაქოსა და განჯის გუბერნიის ნაწილს აქვს თავისი მოკლე გზა პეტროვსკის რკინის გზის შეოხებით. შავი ზღვის პირის რკინის გზის გაყვანით ქუთაისის გუბერნიის ნაწილსაც ექნება თავისი მოკლე გზა.

არჩეული ქვენა მთის გეზი საქონელისა და ბარგის მოძრაობისთვის გორის გზაზე 37 ვერსით არის მოკლე, ან ქუთაის—გორის გზასთან შედარებით 87 ვერსით და არხოტისაზე—28 ვერსით მოკლე.

ამ რიგად ქვენა-მთის გეზი, გადატანილ საქონლის გადასახადს მილიონობით შეამცირებს და სრულიად გაამართლებს კომერციულ მოსაზრებას.

საუღელტეხილო გზა გაივლის ვიწრო ხეობებში და ამიტომ ადგილობრივი რაიონი გზისა დიდი არ არის. მოძრაობის განვითარებაზე მის გავლენას დიდი როლის თამაში არ შეუძლიან. ამის გამო საუღელტეხილო გზა, გადაზიდვის რაოდენობის მხრივ, უნდა განიხილოს უმთავრესად, როგორც სატრანზიტო მნიშვნელობის გზა, მაგრამ იმავე დროს მას აქვს დიდი კულტურულ-ეკონომიური მნიშვნელობა მთელ ამიერ-კავკასიისა და წინა კავკასიისათვის. ამიერ-კავკასიაში არ არის არცერთი მხარე, რომელიც საუღელტეხილო გზით არ იყოს დაინტერესებული. ამიტომ ეკონომიური გამოკვლევანი ყურადღებას აქცევენ ყველა რაიონს, რომელსაც საუღელტეხილო გზით ბარგის გადაზიდვა-გადმოზიდვაზე გავლენა აქვს. აქ აღინიშნება მახლობელი და შორეული გავლენიანი რაიონები. როგორც შორეული შეიძლება აღვნიშნოთ მოსკოვისა და ლოძის რაიონები, რომელნიც დაინტერესებულნი არიან მანუფაქტურის შემოტანით, აბრეშუმის, ბამბის, ღვინისა და სხვათა გაზიდვით.

პეტროგრადის რაიონი დაინტერესებულია საქარხნო ნაწარმოებთა შემოტანით და სამაგიეროდ სხვა და სხვა ღვინის, სამკურნალო წყლების და კავკასიურ ნაწარმოებების გაზიდვით; კიევისა, პოდოლისა და ხარკოვის გუბერნიები დაინტერესებულნი არიან შაქრის შემოტანით; სამხრეთი გუბერნიები და დონის ოლქი, აგრეთვე ყუბანის ოლქი, სტავროპოლის გუბერნია და თერგის ოლქი—პურის გაზიდვით. თავის მხრივ საუღელტეხილო გზასთან ახლო მდებარე რაიონები დაინტერესებულნი არიან პურის, კართოფილის, მანუფაქტურის, შაქრის, ნახშირის, რკინის და სხვათა შემოზიდვით და სამაგიეროთ ღვინის, ბამბის, სამკურნალო წყლების, თხილის, ნიგვზის, ყურძნის, ხილის და სხვათა გაზიდვით.

პირველი ადგილი რასაკვირველია, პურის შემოზიდვის განხილვის საქმეს უნდა ჰქონდეს დათმობილი, მაგრამ ამაზე ქვევით იქნება ნათქვამი.

ამიერ-კავკასიისათვის დიდი სამრეწველო მნიშვნელობა აქვს მევენახეობასა და მეღვინეობას. მაგალითად 1914 წ. დაწურულ ღვინის რაოდენობა შეადგენდა—10.702.804 ვედროს.

ვენახის გაშენების მისწრაფება ყველგან ძალიან დიდია და ამიტომ უეჭველია, რომ ეს საქმე მერმისში ძალიან გავრცელდება.

აგრეთვე დიდია მისწრაფება ბამბის მოყვანაწარმოებისა; მგალითად ამიერ-კავკასიიდან 1913 წ. 1 ენკენისთვიდან, 1918 31 აგვისტომდე 2091811 ფუთი ბამბა გაუტანიათ.

სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა გადატანა ჯერ არ არის გაძლიერებული. მაგალითად ბალაჯარის გზით 1913 წ. გაუტანიათ სასოფლო-სამეურნეო სხვა და სხვა დარგის ნაწარმოები მხოლოდ 417.600 ფუთი. ცხადია, რომ მებოსტნეობისა და მებაღეობის გავრცელებით სასოფლო-სამეურნეო სანოვაგის გაზიდვა დიდათ იმატებს.

(დასასრული იქნება)

ქიმიურ შენართთა სახელწოდების სისტემა.

I.

ქიმიურ შენართთა სახელწოდების სისტემის დამუშავების დროს, ჩემის აზრით, უნდა ვიხელმძღვანელოთ შემდეგი მოსაზრებით: 1) სახელები მარტივი უნდა იყოს; 2) ერთმანეთისაგან ადვილათ გასარჩევი; 3) წარმოებულ შენართების სახელები ადვილათ იწარმოებოდეს; 4) სიტყვები ქართული იყოს და 5) ამავე დროს, რავდენადაც მოსახერხებელია, საერთაშორისო შეთანხმების წესებს უახლოვდებოდეს, 6) თუ იძულებული ვიქნებით ზოგ უცხო სიტყვის შემოღებას, საერთაშორისო ხასიათის მქონე სიტყვები შემოვიღოთ და 7) დაბოლოებით თუ თავსართებით, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება, ამ უცხო სიტყვებს ქართული ხასიათი მივსცეთ,—ეს უნდა იყოს ის საფუძველი, რაზედაც აშენდება ქიმიურ შენართთა სახელწოდების სისტემა. ამის გარდა უნდა გვახსოვდეს, რომ საზოგადოთ ბუნების მეტყველებაში და განსაკუთრებით კი ქიმიაში, მის დღევანდელ განვითარების საფეხურზე იმდენნაირს ახალს, ურიცხვ სხეულებსა და მოვლენებთან გვაქვს საქმე, რომ შეუძლებელია ყოველივეს ისეთი სახელი ვუწოდოთ, რომელიც მათ შეეფერებოდეთ მათ მიერ ჩვენს ძარღვებზე გამოწვეულ გრძნობების მიხედვით. მრავალ სხეულისა და მოვლენისათვის ჩვენი სხეულის ძარღვები უგრძნობელნი, ბრმანი, ყრუნი და, მაშასადამე, მუნჯნიც არიან. ამისთანა სხეულებს და მოვლენებს ჩვენ პირადათ ვერ ვიცნობთ, მათ ჩვენ მხოლოდ გარდაქმნილებს ვეცნობით: მაგალითად, მაგნიტს ჩვენ მხოლოდ მაშინ ვჰვრეტთ გონებით, როდესაც თვალით რკინის მოძრაობას დავინახავთ მის სიახლოვეს და კუნთებით ამ რკინის მიმზიდველობასა ვგრძნობთ. რამდენათ ამაზე რთულია საკითხები ქიმიაში, სადაც ხილულ გარეგნობას კი არა, არამედ უმთავრესათ შიგნითს უხილავს ცვლილებასა აქვს მიქცეული მეცნიერის კვლევა-ძიების მთელი ყურადღება; რა ხდება იქ, უხილავში, მეტს შემთხვევაში ჩვენი გონება ჯერაც სავსებით ვერ მიმწვდარა და მიაღწევს კი როდისმე!? ამის გამო ენის ამა თუ იმ დარგების სიტყვების სალაროც ხშირად მუნჯია ასეთ სხეულთა და მოვლენათა სიტყვების გამოსაძებნათ და საწარმოებლათ და იძულებულია პირობითი შეთანხმებაზე დამყარებული ნაწარმოები, სიტყვები შემოიღოს,—ასე იქცევა მთელი განათლებული ევროპა, ასევე უნდა მოვიქცეთ ჩვენც.

ამ გვარ წინასიტყვაობის შემდეგ მე მინდა ეხლა ჩემს მოხსენებაზე გადავიდე როგორც თავში განვაცხადე, ამ მოხსენების საგანია ქიმიურ შენართთა სახელწოდების სისტემის დამუშავება და პირველ რიგში, გთხოვთ, ამას მიაქციოთ ყურადღება; საზოგადო ტერმინები კი, რომელნიც აქ ნახმარ მაქვს და არა მარტო ქიმიას შეეხებიან, გთხოვთ ჯერ-ჯერობით უშენიშვნებოთ დასტოთ, ამის შესახებ შემდეგ გვექნება მსჯელობა. სანამ თვით სისტემას შეუდგებოდეთ, სავალდებულოთ ვცნობ მას ზოგიერთი დებულებანი წინ წარუმძღვანო.

ქიმიაში ჯერ ჯერობით ცნობილია ოთხმოცამდე ელემენტი (იქნებ შესაძლებელი იყოს ამ სიტყვის ნაცვლათ „არსი“ ვიხმაროთ). იმ ელემენტების სახელი, რომლებისთვისაც ქართული სახელები მოიძებნება, დარჩება ისევე, როგორც დღევანდლამდი იხმარება; ზოგიერთ ელემენტის ქართული სახელის შესახებ შემდეგში მოგახსენებთ, აქ კი ჯერ მხოლოდ მჟავბადს შევეხები და (შემდეგში თქვენ თითონ დაინახავთ ამის საჭიროებას) მის სახელს „ჟანგბადი“-თ შევცვლი. დანარჩენ ელემენტებისათვის იხმარება ის სახელები, რომელთა პირველი ასოებიც ელემენტთა სიმბოლოებათ არის მიღებული. სიმარტივისათვის სასურველია ელემენტთა დაბოლოება „-მბადი“ შემოკლდეს და გამოითქვას უბრალოთ „ბადი“.

ელემენტები განიყოფებიან მეტალებათ და არმეტალებათ (მეტალებრებათ, მეტალოიდებათ).

ელემენტებს სხვა-და-სხვა-უნარიანობა აქვს. როდესაც ერთი და იგივე ელემენტი თავის უნარიანობას დაბალ საფეხურიანიდან მაღალ საფეხურიანზე იცვლის, ამის გასარჩევათ მაღალ საფეხურიან უნარიანობის აღსანიშნავათ ელემენტის სახელი ბოლოვდება, საერთაშორისო შეთანხმების წესის მიხედვით, „ი“-ნზე; ხოლო დაბალ საფეხურის აღსანიშნავათ რამე გარკვეული დაბოლოება სავალდებულო არ არის, საკმარისია ეს დაბოლოება „ი“-ნით არ თავდებოდეს: მაგალითად, „რკინა“—„რკინი“, „სპილენძ“—„სპილენძი“ და სხვა (როგორც „ფერრო“-„ფერრი“, „კუპრო“—„კუპრი“)· ელემენტების ქიმიურათ შეერთებას ქიმიური შერთვა ეწოდება, ხოლო მიღებულ სხეულს—შენართი. შენართი, შემდგარი რომელიმე ელემენტის ჟანგბადთან შერთვით, იწოდება „ელემენტ-ჟანგა“-დ, მაგ: „ნატრი-ჟანგა“, „ტყვია-ჟანგა“ და სხვა (არ ვიხმარე „ჟანგი“ *) ჩვეულებრივ ჟანგისგან გასარჩევად). ეს შენართები, კარგათ მოგეხსენებათ, არავითარ მჟავე გემოს არ გვაგრძნობინებს. ელემენტი ჟანგბადი, მაშასადამე, თავისთავად მჟავეს არაფერსა ჰბადებს და ამიტომ მას არც უნდა ერქვას შეუფერებელი სახელი „მჟავ-ბადი“. „ჟანგ-მბადი“ კი ცნების თითქმის ზედმიწევნით გამომხატველია.

როცა ამგვარ შენართში ჟანგბადი ჩვეულებრივზე ნაკლებათ არის მონაწილე, ამისთანა შენართს „ქვე-ჟანგა“ ეწოდება („ქვე“, საზოგადოთ, როგორც ქვედა საფეხურის მაჩვენებელი); ხმარობენ აგრეთვე გამოთქმას: ნაჟანგა, წაჟანგა, ჟანგარა, ესენი, ჩემის აზრით, ნაკლებ სასურველია.

როცა კი შენართში მონაწილეა ჩვეულებრივზე მეტი ჟანგბადი, მაშინ მის რაოდენობის მიხედვით შენართს ეწოდება „ზე-ჟანგა“, გადაჟანგა, „ზეგადაჟანგა (იმავე მოსაზრებით, როგორც ზევით) ან „ორჟანგა“, „სამჟანგა“ და სხვა. ერთატომ ჟანგბადის ერთ ატომ წყალბადთან შენართს ეწოდება „წყალ-ჟანგა“, ხოლო მეტალის ამ ჯგუფთან შენართს—„მეტალ-წყალჟანგა“, მაგალ.: „ნატრი-წყალჟანგა“, „ამონწყალჟანგა“ და სხვა. „ბაზა“ ითარგმნება ქართულათ „ფუძე“-თ, ან რჩება ისევე. ფუძის და სიმჟავის შენართს ეწოდება მარილი. მარილი არის მარტივი, ორმარილა და რთულმარილა.

როცა მარილი წარმოშობილია მხოლოდ მეტალის და არმეტალის შერთვით (ჟანგბადი მონაწილეობას არ იღებს), მაშინ ამისთანა მარილის სახელი გამოითქმის ისე, რომ ჯერ არმეტალის სახელი ითქმის და შემდეგ მეტალის, მაგალითად: „ქლორ-ნატრი“, „გოგირდრკინა“ და სხვა. ან კიდე, რაც ნაკლებ სასურველია (მაგრამ ხანდახან კი იქნებ საჭირო) ჯერ მეტალის სახელი ითქმის და შემდეგ არმეტალისა; მაგრამ ამ შემთხვევაში ბოლოში დაემატება საერთაშორისო შეთანხმებით მიღებული დაბოლოება „იდ“, რომელიც ქართული სიტყვებას „ი“-ნით დაბოლოების გამო შეიცვლება „-დი“-თ, მაგ.: „ნატრი-ქლორიდი“, „რკინა-გოგირდი“ (!) და სხვა. ამა თუ იმ სიმჟავეს შეკვეცილათ ეწოდება „მჟავა“. სიმჟავე, რომელიც წარმოიშვება არმეტალის წყალბადთან შერთვით, იწოდება „არმეტალ-წყალბადმჟავათ“, მაგ.: „ქლორ-წყალბადმჟავა“, გოგირდ-წყალბადმჟავა, და სხვ. ამის მიხედვით მარილების სახელი შეიძლება გამოვთქვათ ასეც: არმეტალ-წყალბადმჟავა—მეტალი“ ,მაგ: „ქლორწყალბადმჟავა ნატრი“, იოდ-წყალბადმჟავა ვერცხლი“ და სხვა.

ცოტა რთულდება საკითხი, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს ისეთს სიმჟავეებთან და მარილებთან, სადაც ჟანგბადიც იღებს მონაწილეობას.

მიხ. შალამბერიძე.

დეპეშები.

ომი.

ბერლინი, ოქტომბრ. 3. კრონპრინც რუპრეხტის და ბოინეს ლაშქარი. ფლანდრიაში მტრის იერიში მოვიგერეთ. აქ ჩვენ ხელთ ვიგდეთ 200 ტყვე. მტრის ნაწილობრივი შეტევები იპრ-მენინის ორივე მხრით საღამოს შევაჩერეთ. 2 ოქტომ. არმანტიერის და ლუნსის ევაკუაცია მოხდა. ჩვენ ამ ქალაქების აღმოსავლეთით გადავედით. კამბრესთან დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. მტრის ნაწილობრივი შეტევა რუმილის მახლობლად ჩვენ მოვიგერეთ. სენ-კანტენის სამხრეთით მტრის შეტევები ვერ დამთავრდა გამარჯვებით.

გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი. ანიზილე-შატოსთან მტრის ნაწილობრივი შეტევები მოვიგერეთ. სიუიპის აღმოსავლეთით ფრანგები შეტევებს განაგრძობენ. სხვა ფრონტებზე მტერი ჩვენი ხაზების წინ მარცხდება. ენის

---

*) სამწუხაროდ, არ ვიცი რა ძირიდან არის ნაწარმოები ეს სპარსული სიტყვა: „ჟანგი“, თორემ იქნებ როგორმე მოხერხებულიყო უფრო შესაფერ სიტყვის გამონახვა.

ორივე მხრით და ანგარშიაც უტევდა მტერი, მაგრამ ამაოთ.

სტამბული, ოქტომ. 3 პალესტინის ფრონტზე სიმშვიდეა. მტერი დღემდე დამასკს არ გასცილებია. სხვა ფრონტებზე მდგომარეობა უცვლელია.

ბერლინი, ოქტომ, 3. როზელიართან, სენ-აკენტენთან და შამპანში მტრის შეტევები ვერ დამთავრდა გამარჯვებით.

ვენა, ოქტ. 3. მონტე-ტომბთან ჩვენ ვიმარჯვებთ. ბულგარეთში მომხდარმა ამბებმა ჩვენ გვაიძულა ალბანიაში უკან დავეხია. ამის გამო ბერატი უომრად მტრის ხელში ჩავარდა.

ბოლშევიკთა ცნობა.

მოსკოვი, ოქტ. 2. (გამოტოვებულია) თათბირში შევიდნენ შულგინი, ლვოვი და პოლოვცევი. დონის და ყუბანის კონტრ-რევოლუციონერთა შორის უთანხმოებაა. ნიკოლაევში სამხედრო წესები შემოიღეს. იქ გაიგზავნა ახალი სამხედრო ძალები. მოსალოდნელია გაფიცვები.

ამნისტია.

სოფიიდან იტყობინებიან, რომ ბულგარელ მინისტრთა საბჭომ ხელი მოაწერა დეკრეტს, ყველა იმ პირთა შეწყნარების შესახებ, რომლებიც დატუსაღებული და დასჯილი იყვნენ ბულგარეთის მიერ ომის დაწყების შემდეგ.

უხუცესთა საბჭო.

ბერლინი. რეიხსტაგის მოწვევის გამო შეიკრიბება უხუცესთა საბჭო. საბჭოს კრება შეიძლება ოქტომბრის 8 მოხდეს.

ახალი კაბინეთი გერმანიაში.

„ბერლინერ-ცაიტუნგი“ იტყობინება, რომ ბადენის მაქსი ცდილობს შეადგინოს ისეთი კაბინეთი, რომელშიაც შევლენ პროგრესისტები, ცენტრი და სოც.-დემოკრატები.

პარლამენტარული სამინისტრო გერმანიაში.

ბერლინი. ფონ-პაიერის უარის თქმის შემდეგ, უმრავლესობა ბადენის მაქსის კანდიდატურას მიემხრო.

პრინცი დასთანხმდა კანცლერის პროექტზე, თუ პროგრამას უმრავლესობა მოიწონებს. სამინისტრო უნდა იყოს პარლამენტარული. პრინცის პროგრამა გამოქვეყნებული არ არის. ლიბერალური პრესა პრინცის კანდიდატურას მიესალმა.

ბულგარეთში ჯარს ჰგზავნიან.

ბერლინი. ბულგარეთში გაიგზავნა ავსტრიისა და გერმანიის დივიზიები რუმინიიდან პფლანცერის და ბალტინის მეთაურობით და ალბანიიდან ავსტრიელთა ჯარი. იტყობინებიან, რომ სოფიის სამხრეთით ბრძოლაა, ალბად, ბულგარეთის ამბოხებულ ჯარებთან.

ბულგარეთისა შინაურ საქმეები.

ბერლინი. კონსერვატიული პრესა ბულგარეთის შინაურ საქმეებში ჩარევის მომხრეა. გერმანიის მთავრობამ გადასწყვიტა ძალით გაუწიოს წინააღმდეგობა ბულგარეთს, რომ მან ზავზე მოლაპარაკება არ აწარმოოს.

ახალი ამბები.

მთავრობაში.

○ მთავრობამ დაადგინა გაეხსნას განათლების მინისტრს ათ-მილიონიან ფონდიდან 5237 მ. 54 კ. კრედიტი ტფ. საშუალო სატეხნიკო სასწავლებლის მასწავლებელთა სექტემბრის ჯამაგირებისათვის.

○ სახელმწიფო კონტროლიორის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა ყოველი კასის ერთიანობის დარღვევა მიჩნეულ იყოს საპასუხისმგებლო მოქმედებად.

○ სამეგრელოში მომქმედ რაზმის უფროსის გედევანიშვილისაგან მოსულ ცნობის შესახებ დამნაშავეთა გასამართლებაზე მთავრობამ დაადგინა დაევალოს იუსტიციის მინისტრს, სათანადო განკარგულება მოახდინოს, რათა საქმის სიჩქარისათვის დამნაშავეთა საქმე ცალ-ცალკე ირჩეოდეს და არა ერთბაშად.

○ სახელმწიფო კონტროლიორის მოხსენებით გაუქმებულ დაწესებულებათა მოხელეთათვის საჭირო მოწმობის მიცემის შესახებ მთავრობამ დაადგინა: საკრედიტო მოწმობების შემუშავება მიენდოს იუსტიციის მინისტრს შრომის მინისტრთან შეთანხმებით.

○ სამხედრო მინისტრის ამხანაგის მოხსენებით, სამხედრო და იუსტიციის სამინისტროების წარმომადგენლებს დაევალათ ჯარისკაცებზე და სახალხო გვარდიის ნაწილებზე სოფლის მცხოვრებთა საჩივრები გამოიძიონ.

○ მიწათ-მოქმედების მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა მუშტაიდის ბაღი გადავიდეს ქ. ტფილისის ხელში იმ დრომდე, სანამ მას საქართველოს მთავრობა საჭიროდ დაინახავს.

○ მიწათ-მოქმედების მინისტრის კანონ-პროექტი, 61,500 მ. გაღების მინერალურ წყლების სახელმწიფოს განკარგულებაში გადასვლის შესახებ, მოწონებულ იქმნა და დადგენილ იქმნა კანონ-პროექტი გადაეცეს გასარჩევად ეროვნულ საბჭოს.

○ გაეხსნას ფინანსთა მინისტრს 9166 მ. 66 კ. კრედიტი ტფილისის სახაზინო პალატის სადგომის ქირის გასასტუმრებლად.

○ სვანეთში ოქროს მოსაძებნად ექსპედიციის გაგზავნის შესახებ მოხსენება გადაეცეს ეროვნულ საბჭოს.

○ ფინანსთა მინისტრის მოხსენება შაქარზე ერთდროულ გადასახადის შემოღების შესახებ, მოწონებულ იქმნა და გადაეცა განსახილველად ეროვნულ საბჭოს.

○ გაეხსნა ფინანსთა მინისტრს 30 ათასი მანეთი სახაზინო პალატის სასტამბო საქმეებისათვის.

○ განათლების მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა კანონ-პროექტი პირველ დაწყებითი სკოლების გახსნის შესახებ მიღებულ იქმნას და გადაეცეს ეროვნულ საბჭოს დასამტკიცებლად.

○ გაეხსნა ფინანსთა მინისტრს 20050 მან. კრედიტი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მიმდინარე წლის დასახმარებლათ.

ადმინისტრაცია.

○ ტფ. მილიციის უფროსის განკარგულებით 3 თვით დააპატიმრეს დავით აბულაძე, როგორც საზოგადო წესიერებისათვის მავნე პირი.

○ ტფ. მილიციის უფროსმა დააპატიმრა 1) ვ. და ა. ვოლიატოვები მყუდროების დარღვევის გამო ტფილისის ქუჩებზე, 2) სასადილოს პატრონი ვ. ზ. აწკარუნაშვილი, ფარულად მაგარ სასმელების გაყიდვისთვის.

○ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულმა საგანგებო რაზმმა დააპატიმრა: პოლკოვ. ალექსანდრე იოსების ძე გოგიტიძე, ვლ. ეგნ. ნარსია, ბორის ვლად. მორაკოვი და ნიკოლოზ ივანეს ძე ბაქრაძე, რომელთაც შაქარზე სპეკულიაცია ბრალდებათ.

○ საგანგებო რაზმმა შეიპყრო პორუჩიკი ერმოლოზ ივანეს ძე ნაჭყეპია და გადასცა ტფ. გარნიზონის უფროსს სამხედრო ჰაუპტვახტში დასაპატიმრებლად. მასაც სპეკულიანტობა ბრალდება.

სახალხო განათლება.

○ დღეს, საღამოს 6 საათზე, ცენტრალ სახალხო უნივერსიტეტის შენობაში (მიხეილ პრ. 91) შესდგება სახალხო უნივერსიტეტების ქართველ ლექტორების საერთო კრება ლექციების პროგრამის შესამუშავებლად.

○ ქალაქის სასწავლებლების საბჭოს განუზრახავს ქალაქის პირველდაწყებით სასწავლებლებში ხუთშაბათობით მოაწყოს ახსნითი კითხვა ბუნდოვანი სურათების საშუალებით და ექსკურსიებით.

ერობა.

○ დუშეთის მაზრაში, თანახმად საერობო კომიტეტის ინსტრუქტორის ჩხეიძის ცნობისა, უკვე დაწყებულა ხმოსანთა არჩევნები.

რკინის გზაზე.

○ ხაშურის გიმნაზიის ინსპექტორი უნანიაშვილი სთხოვს გზათა სამინისტროს ხაშურსა და ბორჯომ-სურამ შორის დაუყოვნებლივ დანიშნულ იქმნას საგანგებო მატარებელი, ვინაიდან მოწაფენი დიდ გაჭირებას განიცდიან.

○ ქუთაისის ადგილობრივ რკინის გზის ცენტრალურ კომიტეტის წევრი კუპრიშვილი დეპეშით ატყობინებს გზათა სამინისტროს რომ განკარგულებამ, რომლის ძალითაც რკინის გზის მსახურთ აეკრძალათ სათბობ მასალის შეშა-ნახშირის მიცემა, მოსამსახურენი დიდს გაჭირვებაში ჩააგდო და სთხოვს ამ განკარგულების შეცვლას.

○ კახეთის რკინის გზაზე, გზათა სამინისტროს ცნობით, 2 ოქტომბერს 21 ს. და 45 წ. სამხედრო მატარებლის ორი ვაგონი (მეშვიდე და მეოცდაერთე ორთქლმავალიდან) ლიანდაგს გადასცდენია და დამსხვრეულა. ლიანდაგი 200 საჟენზეა დაზიანებული. დაშავებულია ჯარისკაცი ფუგელი და კონდუქტორი ქავჟანი. მატარებელი 10 საათს იქმნა გაჩერებული.

○ რკინის გზის ცენტრალურ კავშირის გამგეობის თავმჯდომარე მეგრელიშვილმა დეპეშით მიმართა მთავრობის თავმჯდომარეს და შინაგან და გზათა მინისტრს, რომელშიაც მთელი კავშირის სახელით იწონებს მთავრობის ზომებს კონტრ-რევოლიუციონურ შეთქმულობის ყოფილ თავად-აზნაურთა წინააღმდეგ, რომელსაც გორის მაზრაში აწარმოებდენ ყოფილ თავად-აზნაურთა წინამძღოლ ბაგრატიონ დავითაშვილის მეთაურობით. დასასრულ მეგრელიშვილი იმედს გამოსთქვამს, რომ შემდეგში მთავრობა მედგრად დაიცავს მშრომელ გლეხთა და მუშათა კლასის ინტერესებს.

○ ტყვიბულში გზათა, სამინისტროს ცნობით, 2 ოქტომბერს ამოუღიათ 14,750 ფ. ზოდები, 2750 ფ. მსხვილი ნახშირი და 11,100 ფ. ხაკა.

ხელოვნება

○ გალაქტიონ ტაბიძის პოეზიის საღამო — გაიმართება დღეს, კონსერვატორიის დარბაზში (გრიბოედოვის ქუჩა. № 8). საღამოში მონაწილეობას მიიღებენ: გალაქტიონ ტაბიძე, გრიგოლ რობაქიძე, სანდრო ყანჩელი, ალ არსენიშვილი,—ტიციან ტაბიძე, ლელი ჯაფარიძე, მგოსანი გ. ქუჩიშვილი, გრ. ცეცხლაძე, ლ. მაჭავარიანი და სხვ.
ბილეთები დღეს იყიდება კონსერვატორიაშივე.

ქვანახშირი.

○ გზათა სამინისტროში ყოველ დღე მოდის ცნობები ტყვიბულში ნახშირის შეძენის რაოდენობის შესახებ. ამ ცნობებიდანა სჩანს, რომ ყოველ დღე მუშავდება და იგზავნება სხვა და სხვა სადგურებში 20 ვაგონი მსხვილი ნახშირი 1—2 შუათანა და 20 ვაგონამდე წვრილი ნახშირი.

ჩვენი ელჩები.

○ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დიპლომატიური წარმომადგენელი სახალხო კომისრებთა საბჭოში გ. ხუნდაძე ხელ მეორედ გაემგზავრა მოსკოვში დამატებით ინსტრუქციების მიღების შემდეგ.

განცხადებები

ს. ფლავისმანის მცხოვრებნი ნიკოლოზ ტატულაშვილი, ალექსი ოქრუაშვილი და მიხეილ ეცადაშვილი აცხადებენ, რომ მათ დაჰკარგეს ნასყიდობის სიგელი, რომლითაც სამივეს ნაყიდი ჰქონდათ მინდორი და ტყე, სოფ. ფლავისმანში. 822 (3—3)

მიხეილ ბონდარი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პიროვნების მოწმობა, მიღებული ამიერ კავკასიის რკინის გზათა სახელმწიფო კონტროლიორისაგან და სთვლის მას გაუქმებულად. 819 (3—3)

ანტონ ადოლფის ძე ენდჟეევსკი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა 1. პასპორტი მიღებული ქუთაისის სახაზინო პალატიდან 1918 წ., 2. უნივერსიტეტიდან მიღებული ბილეთი № 225, 1917 წ. თებერვალში, 3. მოწმობა სამხედრო ბეგრისთვის უვარგისობის, 4. მოწმობა მიღებული ციმბირის მე-8 მოწინავე საექიმო სასანიტარო რაზმისა და სხვა ცოტა მნიშვნელოვანი საბუთები. 817 (3—3)

ტფილისის მაზრის მომრიგებელ განყოფილების სასამართლოს ბოქაული ნ. ი. მავზაროვი სამ. წესდ. 1030 მუხ. ძალით აცხადებს, რომ 1918 წ. ოქტ. 16. დილის 10 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა მუსა მუსტაფა ოღლი და ალიბეგ ჰაჯი ისკანდერ ოღლის მოძრავ ქონებაზე, რომელიც შეადგენს 30 ძროხას. ეს ქონება იყიდება სავაჭ. სახ. „ალბერტ, იაკობი და ზორგაგენის“ პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, შეფასებულია 875 მან. ამ ფასიდან დაიწყება ვაჭრობა, ვაჭრობა მოხდება სოფ. კესალოში, ტფ. მაზ-
მსურველთ შეუძლიათ დაათვალიერონ ქონება ვაჭრობის დღეს, გაყიდვის ადგილზე.
1—828—1

ტფილისის მაზრის მომრიგებელ განყოფილების სასამართლოს ბოქაული ნ. ი. მავზაროვი სამ. წეს. მე 1030 მუხ. ძალით აცხადებს, რომ 1918 წ. ოქტომბრის 16-ს დილის 10 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა მუსა მუსტაფა ოღლის და ალი ბეგ ისკანდერ ოღლის მოძრავ ქონებაზე, რომელიც შეადგენს სამოცდაათ ძროხას. ქონება იყიდება სავაჭ. სახ. „ალაბერტ იაკობი და ზორგაგენის“ პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. ეს ქონება შეფასებულია 2000 მან., ამ ფასიდან დაიწყება ვაჭრობა. ვაჭრობა მოხდება სოფ. კესალოში, ტფ. მაზრა.
მსურველთ შეუძლიათ დაათვალიერონ ქონება ვაჭრობის დღეს, გაყიდვის ადგილზე.
1—829—1

ტფილისის მაზრის მომრიგებელ განყოფილების სასამართლოს ბოქაული ნ. ი. მავზაროვი სამოქ. წესდ. 1030 მუხ. ძალით აცხადებს, რომ 1918 წ. ოქტ. 16 დილის 10 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა პირიმ-მედ ჯაფარ ოღლის და ალახვერდი იუსუპ ოღლის მოძრავ ქონებაზე, რომელიც შეადგენს ძროხებს, კამეჩებს და სხვა.
სავ. სახ. „ალბერტ, იაკობი და ზორგაგენის“ პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. ქონება შეფასებულია 420 მან., ამ ფასიდან დაიწყება ვაჭრობა. ვაჭრობა მოხდება სოფ. ნაზარლოში, ტფ. მაზ.
მსურველთ შეუძლიათ დაათვალიერონ ეს ქონება ვაჭრობის დღეს, გაყიდვის ადგილზე.
1—827—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. აგვისტოს 30 დამტკიცებულია 1918 წ. აგვისტოს 2-ს შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც სოფიო დავითის ასულმა ქუთათელაძემ, ოლღა დავითის ასულმა კოსტავამ და მარგარიტა დავითის ასულმა არუცოვამ 2900 მან. მიჰყიდა პოლოს ოვანეზის ძე აზიანცს მიწის ნაჭერი შენობით, მდებარე ქ. ქუთაისში, მიხეილის ქუჩაზე, სადუქნე და საეზოვე სივრძით ქვაფენილიდან დაწყებული სამხრეთიდან ჩრდილოეთით 22 არშ., სიგანით აღმოსავლეთიდან დასავლეთით $7^1/_2$ არშ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 1160 მან. მთავარი ამონაწერი 145 მან. ღირებულობის სალერბო ქაღალდზე მიცემულია 1918 წ. აგვისტოს 30. 445 (3—2)

ტფილისის მაზრის მომრიგებელ განყოფილების სასამართლოს ბოქაული ნ. ი. მავზაროვი სამოქალაქო წესდ. 1030 მუხ. ძალით აცხადებს, რომ 1918 წ. ოქტომბრის 16-ს დილის 10 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა მუსა-მუსტაფა ოღლის და ალიბეგ-გაჯი-ისკანდერ ოღლის მოძრავ ქონებაზე, რომელიც შეადგენს ათ კამეჩს. ეს ქონება იყიდება სავ. სახ. ალბერტ იაკობ და ზარგაგენის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. ქონება შეფასებულია 382 მან., ამ ფასიდან დაიწყება ვაჭრობა. ვაჭრობა მოხდება ს. კესალოში, ტფილისის მაზრა. ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურს, შეუძლია დაათვალიეროს ქონება ვაჭრობის დღეს, გაყიდვის ადგილზე.
825 1—1

ტფილისის მაზრის მომრიგებელ განყოფილების სასამართლოს ბოქაული ნ. ი. მავზაროვი სამოქ. წესდ. 1030 მუხ ძალით აცხადებს, რომ 1918 წ. ოქტომბრის 16-ს დილის 10 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ასად და ხალილ ოღლის მოძრავ ქონებაზე, რომელიც შეადგენს კვიცს და 4 კამეჩს სავაჭ. სახ. „ალბერტ იაკობი და ზორგაგენის“ პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. ეს ქონება შეფასებულია 395 მან. 25 კ. ამ ფასიდან დაიწყება ვაჭრობა. ვაჭრობა მოხდება ს. კესალოში, ტფ. გუბ. ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან დაათვალიეროს ქონება ვაჭრობის დღეს, გაყიდვის ადგილზე.
1—826—1

ს. ჰანდრის დრ. მცხოვრებელ ისაბალთ უსუფ ოღლიმ დაჰკარგა თოფის ტარების უფლების მოწმობა, “ლებელის“ სისტემის, რაც მან გამოაცხადა ყარაიაზის რაიონის კომისარიატში. მპოვნელს ვთხოვთ გამოგზავნოს ყარაიაზის კომისარიატში. 833 3—1

იმ პირთ ან არა გასაწვევ სათადარიგო ჯარის კაცებს, რომლებიც აღჭურვილნი არიან ტეხნიკური ცოდნით და რომელთაც სურთ იმსახურონ სახალხო გვარდიის სამოტოციკლეტო სატყვიისმფრქვეველო რაზმში 250 მან. ჯამაგირით, ტანისამოსით და სასმელ-საჭმელით, შეუძლიან მიმართონ რაზმის კანცელიარიაში დილის 11 საათ. დღის 1 საათამდე, სამხედრო სასწავლებლის ეზოში (მიხეილის პროსპ. № 148) უკანასკნელ კორპუსში.
821 (2—2)

მმართველი ბაღდადის სამომრიგებლო უბნისა, ქუთაისის საოლქო სასამართლოსი, თანახმად 1401 მუხ. სამოქალაქო სამსჯავრო წესდებისა, იწვევს დღიდგან ამ განცხადების დაბეჭდვისა ექვსი თვის ვადაში ალფეზ ქაიხოსროს ძე ლვინჯილიას მემკვიდრეებს, რათა განაცხადონ თვისი უფლებანი ხსენებულ ლვინჯილიას სიკვდილის შემდეგ დარჩენილ მამულზე და ქონებაზე. 553 3—2

სიმონ დავითის ძე ქურთიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო ბილეთი. მნახველს სთხოვს გაუგზავნონ შემდეგი მისამართით: კაბგეროვის ქუჩა № 14. 3—2

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ენკენ. 9-ს დამტკიცებულია 1918 წ. აგვისტოს 3-ს შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ალექსანდრე პეტრეს ძემ და მარიამ (იგივე ვარდო) ხახულის ასულმა ბერძენმა 10000 მან. მიჰყიდეს ანნა და ოლღა სიმონის ასულთ თევდორაძეებს, ლეონტი პეტრეს ძე ჯაკობიას და უკანასკნელის ცოლს მარიამ სიმონის ასულ ჯაკობიას მიწის ნაჭერი შენობებით, რომელიც მდებარეობს ქ. ქუთაისში, კაზაკოვის ქ. ზომით 280,57 ოთხ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 400 მან. მთავარი ამონაწერი 50 მან. ღირმბულობის სალერბო ქაღალდზე მიცემულია 1918 წ. ენკენ. 9-ს.
444 (3—2)

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. აგვისტოს 31-ს დამტკიცებულია 1918 წ. ივლისის 27-ს შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ივანე დავითის ძე ანდღულაძემ 300 მან. მიჰყიდა იოსებ ბაგრატის ძე ანდღულაძეს მიწის ნაჭერი მდებარე ქ. ქუთაისში, სალორიაში ზომით 82,50 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 13 მან. 30 კ. მთავარი ამონაწერი 2 მან. ღირებულობის სალერბო ქაღალდზე მიცემულია 1918 წ, აგვისტოს 31.
443 (3—2)

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ენკენ. 7 დამტკიცებულია 1918 წ. აგვისტ. 22 შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ნატალია სტეფანეს ასულმა მაჩალაძემ 2800 მან. მიჰყიდა სერაფიონ ივლიანეს ძე ბაბუნაშვილს მიწის ნაჭერი შენობებით მდებარე ქ. ქუთაისში, ჭავჭავაძის ქუჩის შესახვევში, ზომით 50 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 112 მან. მთავარი ამონაწერი 14 მან. ღირებულობის ღერბის ქაღალდზე მიცემულია 1918 წ. ენკენ. 7.
446 (3—2)

მთავრობის სტამბა.

რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე.